# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 23 ოქტომბერი 2007 №245 (3168) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოსნია, სენეგალი თუ იორდანია?

## ვინ დათანხმდება საქართველოსთან ამხანაგობას



კლაუს ტოპმიოლერი 17 ნოემბრის მეტოქის გარკვევას ელის

საქართველოს ნაკრები 17 ნოემბერს უეჭველად გამართავს ამხანაგურ მატჩს — ეს ინფორმაცია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ მოგვაწოდა.

როგორც უგულავამ გვითხრა, მოლაპარაკება მიდის ბოსნიის, იორდანიის და სენეგალის ფედერაციებთან, თუმც ჯერ ის არ არის გადაწყვეტილი, შინ ითამაშებს ჩვენი ნაკრები თუ სტუმრად.

ამ სამი ვარიანტიდან კი, ცხადია, ყველაზე მიმზიდველი სენეგალია. იორდანია შარშანწინ უკვე იყო თბილისში ჩამოსული და ვნახეთ, რა ძალასაც წარმოადგენდა (ჩვენებმა 3:2 მოიგეს), ბოსნია და სენეგალი კი ახალი ხილია...

# მე და შოთა

## რიხარდ ვიჩგეს მშენებლობა მოეწონა...



არჩილ არველაძე და რიხარდ ვიჩგე

# ვინ გაიხედავს ჯგუფიდან?

## დღეს-ხვალ ჩემპიონთა ლიგის ეკვატორია




დღეს-ხვალ ჩემპიონთა ლიგის მესამე ტურია, ანუ გუნდები ჯგუფური ეტაპის ნახევარს მოილევენ. ზოგი მერვედფინალზე ოცნებას დაემშვიდობება, ზოგიც მერვედფინალის საგზურს ხელის გაწვდენაზე მიუახლოვდება. დიდი რია-რიაა გლაზგოში, სადაც „ბარსელონა" ჩაბრძანდა რონალდინიოთი, ანრით და მესით. „რეინჯერსმაც" და „ბარსამაც" ორ-ორი მატჩი მოიგეს და მით უფრო საინტერესოა ეს თამაში. „მანჩესტერი" კიევში ორი დღით ადრე ჩავიდა და თან მზარეულები ჩაიყვანა, ხოლო „ინტერმა" მოსკოვში ადრიანო გაიყოლა, ვინაც 15 აპრილის შემდეგ პირველად შაბათს „რეჯინასთან" გაიტანა.

ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებში ლამის თაობა ისე არ გავიდოდა, ორ ძმას ერთად რომ არ ეთამაშა. ერთ-ერთი ძმური კავშირი რობ და რიხარდ ვიჩგემ შეადგინეს, რომლებიც 80-იანი წლების მიწურულს გამოჩნდნენ. ამათგან უფრო იღბლიანი კარიერა უმცროსს, რიხარდს ჰქონდა. 38 წლის **რიხარდ ვიჩგე** ახლა ჰოლანდიის 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელის თანაშემწეა და მის თბილისში ჩამოსვლას გულგრილად ვერ შევხედავდით — ინტერვიუ ვთხოვეთ და მართალია, დიდი დრო ვერ დაგვითმო, მაგრამ მაინც საინტერესო გამოვიდა.

ჯერ რიხარდის კარიერაზე: ნაკრებში 31 მატჩი ჩაატარა და 1 გოლი გაიტანა. ნათამაშები აქვს 1990 წლის მსოფლიოს და 1996 წლის ევროპის ჩემპიონატებზე. უმცროს ვიჩხეს ამ კლუბებში უთამაშია: „აიაქსი“ (1986-91), „ბარსელონა“ (1991-93), „ბორდო“ (1993-95), „ბლექბერნი“ (1995), „აიაქსი“ (1996-2000), „ალავესი“ (2001-2002), „აიაქსი“ (2002-03) და „ოიტა ტრინიტა“ (2004). ამ კაცს ოთხი წელი უთამაშია შოთა არველაძის მხარდამხარ „აიაქსში“ და ამაზეც როგორ არ ვკითხავდით, თუმცა თავიდან 19-წლამდელთა საქართველო — ჰოლანდიის მატჩით (1:2) დავიწყეთ...


დასი ბლინდი



# ქართული ფეხბურთი ჰოლანდიური თვალებით

## ვიჩგეს და ბლინდის აქეთურ-იქითური

— თავიდან ქართველებმა თავიანთი შანსი გამოიყენეს და დაწინაურდნენ. შემდეგ შევძელით მობილიზება და უამრავი მომენტი შევქმენით, მაგრამ თქვენი მეკარე თამაშობდა ძალიან კარგად. ბოლოს მაინც მოვახერხეთ გოლების გატანა და, ვფიქრობ, დამსახურებულად გავიმარჯვეთ. საქართველოს ნაკრებში რამდენიმე პერსპექტიული ფეხბურთელი თამაშობს და ყველაფერი მათზეა დამოკიდებული, როგორ მომავალს აიწყობენ.

— საფეხბურთო კარიერა 2004 წელს დაასრულეთ და მას შემდეგ მწვრთნელად მუშაობთ?

— ჩავაბარე მწვრთნელთა სკოლაში. ახლაც ვსწავლობ, მწვრთნელისთვის აუცილებელ კურსებს გავდივარ და ამ ნაკრებშიც მთავარი მწვთნელის თანაშემწე ვარ.

— ამსტერდამის „აიაქსში“ წლების განმავლობაში საქართველოს ნაკრების ყოფილ ფორვარდ შოთა არველაძის გვერდით თამაშობდით. ახლა რა ურთიერთობა გაქვთ მასთან?

— შოთა არველაძეც და ცოტა ხნით გიორგი ქინქლაძეც ჩემი თანაგუნდელები იყვნენ. შოთასთან ახლაც ვმეგობრობ და ტელეფონით ხშირად ვსაუბრობთ. როცა ერთმანეთს ვხვდებით, ბანქოსაც ვთამაშობთ-ხოლმე. ცალკე სალაპარაკო თემაა შოთას იუმორი. ისიც და გიოც კარგი ფეხბურთელები იყვნენ, ჰოლანდიაში ძალიან უყვართ და ახსოვთ მათი თამაში.

— ჰოლანდიაში კიდევ ერთი ქართველი, გოგა გახოკიძე თამაშობდა — პსვ-ში და „ტვენტეში“. მას იცნობთ?

— პირადად არ ვიცნობ. ისე ვიცი, გახოკიძე, ნორმალური ფეხბურთელი იყო.

— ჰოლანდიაში ქართულ ფეხბურთზე რა წარმოდგენა აქვთ?

— შოთა არველაძემ და გიორგი ქინქლაძემ ჰოლანდიელებს საქართველო გააცნეს. ქართველები ძალიან ტექნიკურები არიან. ახლანდელ საქართველოს ნაკრებში რამდენიმე კარგი ახალგაზრდა თამაშობს და, ვფიქრობ, თქვენს ეროვნულ გუნდს კარგი მომავალი აქვს.

— შთამბეჭდავი კარიერა გქონდათ და ტიტულებიც არ გაკლდათ. სხვადასხვა ქვეყნის გუნდებში გითამაშიათ და სად გატარებული წლები გახსენდებათ ყველაზე კარგად?

— ფეხბურთი ჩემი ჰობი იყო. მისგან ყველგან დიდ სიამოვნებას ვიღებდი და ის წლები არასოდეს არ დამავიწყდება. საერთოდ, ფეხბურთი საოცარი სპორტია და ამ თამაშით ბოლომდე უნდა დატკბე.

— ჰოლანდიაში ბავშვთა ფეხბურთს დიდი ყურადღება ექცევა, „აიაქსის“ საფეხბურთო სკოლა კი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია. საინტერესოა, როგორ მიდის იქ მუშაობა? ბავშვთა ფეხბურთს სახელმწიფო ეხმარება თუ კერძო სკოლებია?

— ბავშვებთან მხოლოდ განათლებული მწვრთნელები მუშაობენ. ნორჩთა გაწვრთნა ძალიან სათუთი და საპასუხისმგებლო საქმეა. პატარა შეცდომაც შეიძლება იმ ბავშვის კარიერისთვის დამღუპველი აღმოჩნდეს. ამიტომ ყველა ნიუანსს ექცევა ყურადღება. სამუშაოდ ყველა აუცილებელი პირობა არსებობს. ბავშვებს თავიდანვე თანამედროვე სტილის ფეხბურთს აჩვევენ და ამიტომაცაა ჩვენი ბავშვთა ფეხბურთი მოწინავეთა შორის. ჩვენთან სახელმწიფო ბავშვთა ფეხბურთს ფინანსურად არ ეხმარება. ყველა სკოლა კერძოა და თავის საქმეს თვითონვე უძღვება.


რიხარდ ვიჩგე ფეხბურთელობისას

— რამდენიმე დღეა, საქართველოში ხართ და რამდენად მოგეწონათ ჩვენი ქვეყანა?

— მხოლოდ ერთხელ გავედი ქალაქში — აჩი არველაძემ ბარში დამპატიჟა და რისი შემჩნევაც მოვასწარი, ეს იყო მშენებლობები, ქალაქს ალამაზებენ და ეს კარგია.

*ასე დაგვემშვიდობა რიხარდ ვიჩგე და მცირე ხნით ამსტერდამის „აიაქსის“ ყოფილი კაპიტნის, დანი ბლინდის ვაჟი, დასი დაგვითმო...*

— მამათქვენი სახელოვანი ფეხბურთელი იყო. ეს გეხმარებათ, თუ დამატებით პასუხისმგებლობას გრძნობთ?

— პასუხისმგებლობა მართლაც დიდია, მამის სახელი არ უნდა შევარცხვინო. ისე კი, მამაჩემი ძალიან მეხმარება კარგ ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში, ყოველთვის უყურებს ჩემს თამაშებს და საჭირო რჩევებსაც მაძლევს.

— მამა მცველი იყო, თქვენ ნახევარმცველი ხართ, ეს პოზიცია უფრო მოგწონთ?

— მე ნახევარმცველობა უფრო მიზიდავს. მერე რა, რომ მამაჩემი მცველი იყო...

— საქართველო — ჰოლანდიის მატჩზე რას იტყვით?

— დაძაბული თამაში იყო. ქართველები ტექნიკურები არიან. ჩემი აზრით, ჩვენ იმიტომ მოვიგეთ, რომ უკეთეს პირობებში ვიზრდებით, უკეთ ვართ მომზადებულები. ვიცი, რომ თქვენთან მინდვრების და ათასი წვრილმანი პრობლემა აქვთ ფეხბურთელებს.

— რომელი ქართველი ფეხბურთელი იცით?

— შოთა არველაძე, გიორგი ქინქლაძე, ისინი კარგი ფეხბურთელები იყვნენ. რა თქმა უნდა, კახა კალაძეც ვიცი, რომ ქართველია.

**ნუგზარი ლოლაძე**

# საუკეთესო და სამართლიანი ბარსელონაში

**კოსტაბრავას** თასზე ზუგდიდის „ბაიას“ 12-წლამდე ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი ცოტნე სამუშია FAIR PLAY პრიზის მფლობელი გახდა. აჩიკო მესხი კი ტურნირზე ამ ასაკის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

ქართველი ბავშვები სამშობლოში დღეს გამთენიისას ვერცხლის მედლებით დაბრუნდნენ.

**ლუკა თალაკვაძე**

### ინგლისი

პრემიერლიგა
X ტური

ნიუკასლი 3:1 ტოტენჰემი

ჩემპიონატი
XI ტური

ჰალი 3:0 ბარნსლი

### გერმანია

II ბუნდესლიგა
X ტური

გლადბახი 2:2 კიოლნი

### იტალია

სერია C1/A
X ტური

ლეკო 0:1 მანფრედონია

### საფრანგეთი

II დივიზიონი
XII ტური

ლე ავრი 2:2 ამიენი

### თურქეთი

სუპერლიგა
IX ტური

ოფთა 2:1 ანკარაგიუჯიუ
სივა 1:0 მანისა

### ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა
X ტური

ბოლესლავი 0:2 ლიბერეცი

### დანია

სუპერლიგა. XIII ტური

მიდტიულანდი 2:2 ესბიერგი

### ნორვეგია

ტიპელიგა. XXIV ტური

ვიკინგი 2:1 სტაბეკი

### შვედეთი

ალსვენსკა. XXV ტური

აიკ 0:1 გიოტებორგი
გაის 1:2 მალმიო
ჰალმსტადი 1:2 იურგორდენი

### ირლანდია

პრემიერლიგა. XXXI ტური

ლონგფორდი 1:0 ბრეი
ბოჰემიანსი 2:0 დუბლინი
კორკი 0:1 სენტ პატრიკსი

### სლოვაკეთი

პირველი ლიგა. XIII ტური

ნიტრა 2:0 სენეცი

### უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. XII ტური

მტკ 2:0 ნიირეგიჰაზა

### მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

აზია
საკვალიფიკაციო წრე

პაკისტანი 0:7 ერაყი

36 წლის ზურაბ იონანიძე არ ჩერდება, ისევ გოლების წყურვილი კლავს და შორს არ წავალთ, მარტო ამ სეზონში რამდენი გადამწყვეტი ბურთი შეაგდო. აი, გუშინწინაც შეცვლაზე შევიდა „მერანთან“ მატჩში და მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე 1:0 მოაგებინა „ზესტაფონს“, რითაც ფეროელები გაალიდერა.
ასაკი მატყუარაა, იონა ისევ ფორმაშია. არადა, ხომ გახსოვთ, სეზონის წინ მას „ზესტაფონიდან“ უშვებდნენ. ჯერ გაყიდვაზე იყო ლაპარაკი, მერე განათხოვრებაზე, მაგრამ ბომბარდირი ფერიოელებში დარჩა და თავის საყვარელ საქმეს აგრძელებს...



# ისევ ის იონა

— გრიგოლ ჭანტურიამ კარგად ჩააწოდა და შალვა ლონლაძემ გადმომაწოდა თავურით, დანარჩენი კი შესრულებაზე და იღბალზე იყო. მადლობა უფალს, რომ ასეთი მნიშვნელოვანი გოლი გავიტანე.

— მთლიანად მატჩზე რას იტყვი?

— უნდა ითქვას, რომ „მერანმა“ დიდი წინაალმდეგობა გაგვიწია. ძალიან მონდომებულები იყვნენ და თუ ასე იბრძოლებენ, დარჩენილ მატჩებში აუტსაიდერები აღარ იქნებიან. ისეთ თამაშებში ძნელია გატანა, როცა მეტოქე მთელი გუნდით დაცვაში დგას.

— „ზესტაფონის“ და „დინამოს“ ლიდერობა გამოიკვეთა და როგორ ფიქრობ, კიდევ რომელიმე გუნდს შეუძლია კონკურენცია გაგიწიოთ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში?

— წინ კიდევ ბლომად თამაშებია და ამიტომ არავის ჩამოწერა არ შეიძლება. „დინამოს“ გარდა, ვთვლი, რომ „ვიტ ჯორჯია“, „ამერი“, „ოლიმპი“ ბოლომდე იბრძოლებენ, მაგრამ ჩვენ არაფრის დათმობას არ ვაპირებთ. ჩემპიონებიც უნდა გავხდეთ და თასიც ავიღოთ.

— ტრადიციულად, 2-ნომრიანი მაისურით თამაშობდი ხოლმე, „მერანთან“ კი 19-ნომრიანი გეცვა, რატომ?

— რატომღაც ასე მომინდა. 19 ნომერი ჩავიცვი და ისიც იღბლიანი გამოდგა.

— ჩვენი ჩემპიონატების მთავარმეგოლე ხარ და როგორ ფიქრობ, „ზესტაფონის“ ძირითად შემადგენლობაში არ იმსახურებ ადგილს?

— ეგ მწვრთნელის გადასაწყვეტია. ისე, ჩემი შეცვლაზე შეყვანა ამართლებს, გოლები გამაქვს და საპრეტენზიოც არაფერი მაქვს.

— ჩვენს ჩემპიონატში პერსპექტიულ თავდამსხმელებს თუ ხედავ?

— „ზესტაფონში“ ასეთები გიორგი ჭელიძე და გოგი ფიფია არიან, ამერელი დიმიტრი ტატანაშვილიც კარგი თავდამსხმელია.

**ნუკრი ლოლაძე**

# ხიზანიშვილმა მაკფადენი დაიცვა
## შოტლანდია იტალიას მოუგებს!



**შოტლანდიელებს** თბილისში წაგება ვერ მოუნელებიათ და ისევ იმ მატჩის 33-ე წუთს მისტირიან, როცა ზურაბ ხიზანიშვილმა ჯეიმს მაკფადენს საჯარიმოში მხარი უხეშად ჩაუდგა და პენალტი არ დაინიშნა. ამ ეპიზოდზე მატჩის მიმოხილვაშიც დავწერეთ და ერთხელაც გავიმეორებთ.

დაზუსტებით ვიტყვით: მაკფადენი სანამ ბურთს მიიღებდა, ორი წამით ადრე ქართველების სასარგებლოდ აუტი უნდა დანიშნულიყო, თუმც გვერდით მსაჯს „ჩაეძინა“.

ამ ეპიზოდზე და მთლიანად 17 ოქტომბრის მატჩზე უპოპულარულესი BBC ხიზანიშვილს ესაუბრა...

„რა მოხდა იმ მომენტში? მაკფადენი მატჩის შემდეგაც გამოთქვამდა პროტესტს, თუმც იგი პრემიერლიგაში თამაშობს და კარგად იცის, რომ ასეთი კონტაქტისთვის პენალტს იშვიათად ნიშნავენ. ჯეიმსი ჩემი მეგობარია, თორემ სხვანაირი ტონით გავცემდი პასუხს ყვირილზე“ — ამბობს ზურაბი.

ყვირილი კი „ფედიმ“ (მაკფადენის მეტსახელია) მსაჯს დაუწყო.

„ის მსაჯს უყვიროდა, მე კი ვუთხარი, დაწყნარდი, თორემ ყვითელ ბარათს მოგცემს-მეთქი. ჯეიმსი კარგი ფეხბურთელია, შოტლანდიაში საუკეთესოა და არ მინდოდა, იტალიასთან მატჩი გამოეტოვებინა. კარგია, რომ მსაჯმა დაინდო“.

„ხიზანა“ აღიარებს, ფედისთან კონტაქტი იყოო, თუმც-

„მსაჯი იქვე იყო, 5-6 იარდში. პენალტი დასანიშნი რომ ყოფილიყო, რატომ დაგვინდობდა?! საერთოდ, თუ დააკვირდით, ძალისმიერი მატჩი იყო და მსაჯი ხშირად არ ნიშნავდა ჯარიმებს, ვაჟკაცური ბრძოლა გააჩაღებინა გუნდებს“.

ახლა მთელი შოტლანდია 17 ნოემბრის მატჩს ელის, იტალიასთან მოგების შემთხვევაში, ევროპის ჩემპიონატზე მიდიან და ხიზანიშვილს პროგნოზიც ჰკითხეს.

„სქოთები მოიგებენ. ვიცი, რამდენს ნიშნავს „ჰემპდენ პარკზე“ თამაში. ასეც არ იყოს, შოტლანდიამ ორჯერ მოუგო საფრანგეთს, რომელიც იტალიაზე ძლიერია“.

და როგორ მოხდა, რომ საქართველომ, რომელსაც ოდენ 7 ქულა ჰქონდა, შოტლანდიას გამოლადრა კისერი? BBC იქვე აღნიშნავს, ქართველებს ბევრი ფეხბურთელი აკლდათ, მაგრამ მათ ნაცვლად თინეიჯერები ათამაშეს და ისინი ბრწყინვალედ გაისარჯნენო.

„კარგი ახალგაზრდები გვყავს. ჩვენ არაფერი გვქონდა დასაკარგი, ბოლომდე ვიბრძოლეთ და ღირსეულად მოვიგეთ“.

ბოლოს BBC-ს კლაუს ტოპმიოლერის სიტყვებიც მოჰყავს:

„ყველამ ნახა, როგორ ითამაშა საქართველოს ნაკრებმა. მიხარია, რომ ეს ახალგაზრდებით მოვახერხეთ. თითქოს დაუჯერებელია, ჩვენ ჯგუფის ლიდერი დავამარცხეთ“.

**ილია ნანობაშვილი**

## დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

www.pfl.ge

23 ოქტომბერი

**A ჯგუფი**

სპარტაკი (ცხინვალი) — ამერი (თბილისი)
**მსაჯები:** გ. კიკაჩეიშვილი; ბ. ჭიჭინაძე, დ. გოგოლაძე; გ. ვადაჭკორია

24 ოქტომბერი

**A ჯგუფი**

მესხეთი (ახალციხე) — ტორპედო (ქუთაისი)
**მსაჯები:** ვ. გუმბარიძე; ლ. მიქელაძე, კ. გუდურაშვილი; ა. კრიჭაშვილი

**B ჯგუფი**

ვიტ ჯორჯია (თბილისი) — მაღაროელი (ჭიათურა)
**მსაჯები:** ლ. სილაგავა; შ. ქუხილავა, დ. კვეტენაძე; ლ. კვარაცხელია
ლოკომოტივი (თბილისი) — დინამო (თბილისი)
**მსაჯები:** ა. ნონიკაშვილი; გ. ჩიგოგიძე, ზ. ასკაროღლი; ლ. ფანიაშვილი

**C ჯგუფი**

ბორჯომი — მერანი (თბილისი)
**მსაჯები:** ო. ხეცაძე; კ. ტეფნაძე, მ. წიკლაური; კ. ჭაჭუა
ბათუმი — ოლიმპი (რუსთავი)
**მსაჯები:** მ. ბეუქლიშვილი; ლ. თოდრია, მ. ნაკაიძე; ჯ. ბუიშვილი

**D ჯგუფი**

მგლები (ზუგდიდი) — კახეთი (თელავი)
**მსაჯები:** გ. დოგრაშვილი; ი. შენგელია, ე. ლომსაძე; პ. დოგრაშვილი
დილა (გორი) — ზესტაფონი
**მსაჯები:** დ. ხარიტონაშვილი; ზ. ფიფია, ა. კოკაია; ვ. ელისაბედაშვილი

# ფინალისტების ვიზიტი გორში

**დღეს** გორის „თენგიზ ბურჯანაძეზე“ საქართველოს თასის ჯგუფური ეტაპის მესამე ტური დაიწყება, ცხინვალის „სპარტაკი“ „ამერს“ უმასპინძლებს და ალბათ ამ გუნდების საჩემპიონატო შეხვედრა გახსოვთ, როცა გლდანელებმა მსაჯის წამატებულ წუთზე გატანილი პენალტით იმარჯვეს. წესით, დღესაც დაძაბული თამაში უნდა გამოვიდეს, მით უმეტეს, კობა ჟორჟიკაშვილის „სპარტაკი“ მეოთხედფინალში გასვლას ეშურება. „ამერს“ კი, მგონი, ზედმეტი სიფრთხილე გამოგვივა, რომ ვთქვათ, ჯგუფიდან გასვლა გაუჭირდებაო — გლდანელებს უკვე 6 ქულა აქვთ.

ამავე ჯგუფის მეორე მატჩში „მესხეთი“ ახალციხეში ხვდება „ტორპედოს“ და თუ რამ სასწაული არ მოხდა, მოიგებს. მესხებს ჩემპიონატშიც კარგად მისდით საქმე, დავით ინასარიძისა და ალეკო კაიდარაშვილის გოლებით უკვე ლიდერთა ჯგუფში დაიბევეს ადგილი და თასზეც, ბევრი ოფლის ღვრა არ უნდა დასჭირდეთ „ტორპედოს“ ძლევისთვის. რას იზამ, დრომ მოიტანა, ახალციხისა და ქუთაისის გუნდების დაპირისპირებაზე ასე რომ ვსაუბრობთ, ქუთათურებს ფეხბურთი ენატრებათ...

B ჯგუფში „ვიტ ჯორჯია“ — „მაღაროელი“ უფრო პრინციპული თამაშია, ვიდრე „ლოკომოტივი“ — „დინამო“. საქმე ისაა, რომ მცხეთაში სამ-სამქულიანი გუნდები ხვდებიან. პირველი ლიგის ლიდერ „მაღაროელს“ ხუმრობით ნურავინ მოეკიდება, თორემ აგერ, „ლოკომოტივმა“ უკვე იგემა 0:3. ასე რომ, ვიტელებს სიფრთხილე მართებთ.

„დინამომ“ სწორედ „ვიტ ჯორჯიასთან“ წააგო კვირას, ოღონდ ის ჩემპიონატის მატჩი იყო. თასზე კი დუშან უჰრინის გუნდმა „მწვანეებს“ 3:2 აჯობა და 6 ქულა აქვს. გიორგი კიკნაძის „ლოკომოტივი“ ჯგუფში ნული ქულით ტივტივებს და ვეჭვობთ, ხვალ ამოძვრეს ფსკერიდან — ვაკელებს ის გუნდი არ ჰყავთ, დინამოელებს მოერივნონ. თუმც პროგნოზებს, სჯობს, „მიხეილ მესხზე“ ვნახოთ, რა მოხდება.

C ჯგუფის ლიდერი, გაგიკვირდებათ და, „მერანია“, თუმც დღეს იქ თამაშობს, სადაც ძალიან ჭირს მოგება — ბორჯომში. რაც უნდა ვილაპარაკოთ, ამ ჯგუფის ფავორიტები სწორედ „ბორჯომი“ და „ოლიმპი“ არიან, რომელთაც თითო მოგება-წაგება აქვთ. რუსთაველებს „მერანთან“ საშინაო წაგებამ აურია დავთრები, თუმც მერე თბილისელებს სძლიეს და დღეს ბათუმშიც სამი ქულისთვის ჩავლენ. ზღვისპირელთა უნიათობას რომ ვუყურებთ, ძალიან გვეეჭვება, ქულა მაინც დასცინცლონ ფავორიტს.

და D ჯგუფი, სადაც სამი ფინალის წამგები „ზესტაფონი“ თამადობს. ფავორიტებს ახლა გორში აქვთ სათამაშო „დილასთან“, რომელმაც პირველ ტურში ზუგდიდიდან ისეთი ქული წამოიღო, დიახაც, უნდა ჰქონდეს მეოთხედფინალში გასვლის პრეტენზია. მაგრამ „ზესტაფონმა“ თუ სიჩქარე ჩართო, ვეჭვობთ, ქვემოქართლელებმა გაუძლონ. მოკლედ, გორი ორი დღე ფინალისტების მიღებაში იქნება...

„მგლები“ კი იმ „კახეთს“ მასპინძლობს, რომელიც ვერც პირველ ლიგაში ყოჩაღობს. მართალია, თელაველებმა საჩემპიონატო მატჩში „ამერი 2“-ს 4:0 მოუგეს, მაგრამ ეს იშვიათი გამონათებასავით იყო.

**ილია ნანობაშვილი**

| A ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 2 | 2 | 0 | 0 | 10:1 | 6 |
| მესხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:4 | 3 |
| სპარტაკი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ტორპედო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:8 | 0 |

| B ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| ვიტ ჯორჯია | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| მაღაროელი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ლოკომოტივი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |

| C ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერანი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ოლიმპი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ბორჯომი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ბათუმი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |

| D ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზესტაფონი | 2 | 2 | 0 | 0 | 10:3 | 6 |
| დილა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| მგლები | 2 | 0 | 1 | 1 | 4:7 | 1 |
| კახეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:7 | 0 |

საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა I წრე. 9 ტური

# მესამედის კონტურები
## ვინ ჩაერევა ორთა ბრძოლაში?

დინამო 0:1 ვიტ ჯორჯია
ბორჯომი 2:1 ლოკომოტივი
სიონი 5:1 დილა
ბათუმი 0:3 ამერი
მერანი 0:1 ზესტაფონი
სპარტაკი 0:2 მესხეთი
ოლიმპი 2:1 მგლები



**დაახლოებით** ჩემპიონატის მესამედი მიილია და ასევე დაახლოებით შეიძლება იმის შეფასება, რომელ გუნდს რა მიზანი აქვს.

მეცხრე ტურის მთავარი მოვლენა კი, ცხადია, ყოჩის შეცვლა იყო — „დინამოს“ რვამატჩიან მოგებათა სერიას „ვიტ ჯორჯიასთან“ დაესვა წერტილი, რითაც „ზესტაფონმა“ ისარგებლა და გადაასწრო.

ამ ორივე საკვანძო შეხვედრაში ბოლო წუთებზე გადაიხარა სასწორის პინა, ეროვნულ სტადიონზე ნიკა გელაშვილმა პენალტი დასტყუა დინამოელთა მილოშ კრშკოს და ლუკა რაზმაძემ გაიტანა, ხოლო „მერანის“ სარბიელზე უბერებელი ზურაბ იონანიძე აბობოქრდა, ბოლო წამებზე გაიტანა და „ზესტაფონი“ ცხრილის სათავეში წამოასკუპა. ფეროელებმა პირველ ტურში სწორედ დინამოელთა გამაწარებელ ვიტელებთან წაიფორხილეს, მაგრამ მას შემდეგ რვაჯერ იმარჯვეს.

მშვენიერი ბირთვი ჰყავს თემურ მახარაძეს: ორივე გიორგი ჭელიძე, გოგი ფიფია, გაბონელი და ბრაზილიელი ლეგიონერები, გამოცდილი მცველები და მეკარე. მოკლედ, „ზესტაფონი“ ჩემპიონატის მთავარ ფავორიტად უნდა მოვნათლოთ.

„დინამო“ და „ზესტაფონი“: ისე ჩანს, სწორედ ამათ შორის უნდა გაირკვეს ჩემპიონი, ოღონდ, თუ ან ერთს, ან მეორეს, ღრმა კრიზისი არ დაეწყება.

და თუ დაეწყებათ, „ვიტ ჯორჯია“ და „ამერი“ ძალიან შორს კი არ არიან... ნესტორ მუმლაძის ვიტელებს სამტურიანი ჩავარდნა ჰქონდათ, თუმც ახლა ისევ შევიდნენ ფორმაში. ალბათ, „ამერიც“ დაიჭერს სტაბილურ თამაშს, თორემ 9 ტურში 4 მარცხი ნამეტანი ბევრია გიორგი ჩიხრაძის გუნდისთვის. „ყვითლებმა“ ბოლოს „ბათუმს“ 3:0 სძლიეს, მაგრამ ზღვისპირელები ისეთ შავ დღეში არიან, რომ მათთან მოგებით ვერ შევაფასებთ ამერელთა ფორმას.

სიმპათიური გუნდი ჰყავს „ბორჯომს“, რომელმაც, სხვა თუ არაფერი, „ვიტ ჯორჯიასა“ და „ამერს“ მოუგო. გორელთა მწვრთნელი ვლადიმერ ხაჩიძე კი მაინც შფოთავს, ახლა კი კმაყოფილი ვარ გუნდით, მაგრამ ზამთარში განთხოვრებული ფეხბურთელები რომ წავლენ, მერე რა გვეშველებაო. ასეთები კი ბლომად ჰყავს „ბორჯომს“ და მარტო შოთა გრიგალაშვილი რად ღირს... გრიგალაშვილი და შოთა ჯიქია სამცხელთა სული და გული არიან, „ლოკომოტივსაც“ ისევ მათ გაუტანეს გოლები.

ორიოდ სიტყვით „ლოკომოტივზეც“ ვთქვათ, რომელსაც ჭაბუკი ლევან ყენია აღარ ეყოლება და ამ სეზონში ერთი მიზანი აქვს: არგავარდნა.

„ჩვენ შეგვიძლია, ფეხბურთელები ვინათხოვროთ, მაგრამ ამას შეგნებულად არ ვაკეთებთ. გვინდა, ჩვენივე კადრები ალვზარდოთ“ — თქვა ვაკელთა თავკაცმა გიორგი კიკნაძემ.

„მესხეთი“ უდავოდ საუკეთესო დებიუტანტია: ამჯერად, ახალციხელებმა დავით ინასარიძის წყვილი გოლით მოიგეს ცხინვალის „სპარტაკთან“ და მეხუთე ადგილზე არიან.

აქედანვე შეიძლება ითქვას, რომ მომდევნო ტურში თიბლისის „დინამოს“ გვარიანად გაუჭირდება ახალციხეში.

საინტერესოზე თუ მიდგა საქმე, ასეთი წინა ტურში რუსთაველი „ოლიმპი“ — „მგლებიც“ იყო, სადაც მასპინძლებს ისევ რევაზ ჯიქიას გატანილმა გოლმა მოაგებინა. არადა, ჯიქია სეზონის წინ სწორედ „მგლებში“ ვარჯიშობდა და „ოლიმპმა“ დროულად დაადგა თვალი.

ისევე, როგორც ლიდერების, აუტსაიდერთა ჯგუფიც გამოკვეთილია: „ბათუმი“, „მერანი“ და „დილა“. ისე კი, თამაშის მიხედვით და შემადგენლობითაც, ეს გუნდები სწორედ იქ არიან, სადაც უნდა იყვნენ — არა გვგონია, სხვა გუნდებით ჩაერთონ იმ მძიმე საქმეში, რასაც უმაღლესში დარჩენისთვის კბილებით ბრძოლა ჰქვია.

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზესტაფონი | 9 | 8 | 1 | 0 | 18:3 | 25 |
| დინამო | 9 | 8 | 0 | 1 | 24:3 | 24 |
| ვიტ ჯორჯია | 9 | 6 | 1 | 2 | 12:7 | 19 |
| ბორჯომი | 9 | 5 | 2 | 2 | 12:6 | 17 |
| მესხეთი | 9 | 5 | 2 | 2 | 12:9 | 17 |
| ამერი | 9 | 5 | 0 | 4 | 17:10 | 15 |
| მგლები | 9 | 5 | 0 | 4 | 10:8 | 15 |
| ოლიმპი | 9 | 4 | 2 | 3 | 8:8 | 14 |
| სიონი | 9 | 3 | 2 | 4 | 12:13 | 11 |
| ლოკომოტივი | 9 | 3 | 0 | 6 | 7:14 | 9 |
| სპარტაკი | 9 | 2 | 2 | 5 | 3:10 | 8 |
| დილა | 9 | 1 | 1 | 7 | 7:18 | 4 |
| მერანი | 9 | 1 | 0 | 8 | 3:20 | 3 |
| ბათუმი | 9 | 0 | 1 | 8 | 2:18 | 1 |

### მეათე ტური

27 ოქტომბერი, შაბათი

მგლები – ამერი
დილა – ბორჯომი
მესხეთი – დინამო

28 ოქტომბერი, კვირა

ვიტ ჯორჯია – ბათუმი
ზესტაფონი – სპარტაკი
ლოკომოტივი – მერანი
ოლიმპი – სიონი

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 6 - | მიხეილ ხუციშვილი | დინამო |
| 5 - | ჟორჟ აკირემი | დინამო |
| | ილია სპასოევიჩი | დინამო |
| | გიორგი ჭელიძე | ზესტაფონი |
| | რევაზ ჯიქია | ოლიმპი |
| | გიორგი ჭედია | მგლები |
| | დიმიტრი ტატანაშვილი | ამერი |

### სიმბოლური ნაკრები

ზურაბ იონანიძე (ზესტაფონი)
რევაზ ჯიქია (ოლიმპი)
დავით ინასარიძე (მესხეთი)
ზაზა სახოკია (ვიტ ჯორჯია)
გრიგოლ დოლიძე (ამერი)
ნიკა ნადირაძე (სიონი)
დავით დევდარიანი (ოლიმპი)
შალვა ლონლაძე (ზესტაფონი)
დავით ლომაია (ვიტ ჯორჯია)
ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია)
რევაზ თევდორაძე (მერანი)



# ქურდბაცაცობა
## გასტონ ევოჩეს კედლებიღა დაუტოვეს

**საკვირველი** რამ მოხდა! როგორ ვთქვათ, როცა ასეთი ან მსგავსი ამბავი არახალია საქართველოში: ბოლნისის „სიონის“ კამერუნელი ფეხბურთელის, გასტონ მემეჯი ევოჩეს სახლი გაძარცვეს თბილისში.

დაახლოებით ერთი კვირის წინ ევოჩე და მისი მეუღლე საღამოს სასეირნოდ გამოსულან და როცა შინ მიბრუნებულან, სახლში მხოლოდ კედლებიღა ნახეს. ყველაფერი წაუღიათ, ბუცებიც კი...

მეტი არაა ჩვენი მტერი, ევოჩეს ქართულ სტუმართმოყვარეობაზე რამე დასცდეს...

**ლუკა თალაკვაძე**

### საქართველოს ჭაბუკთა ლიგა

**1990 წელს დაბადებულები**

პირველი წრე. მე-8 ტური
აღმოსავლეთი ზონა
ოლიმპი 2 3:2 ავაზა
ოლიმპი 4:0 ერთობა
სიონი 2:5 ლოკომოტივი
ცენტრალური ზონა
ოლიმპიკი 2:1 ამერი
მთვარის გლობუსი 1:6 დინამო
მერანი 2:0 თ. ს. აკადემია
35-ე სკოლა 4:2 იმედი

**1991 წელს დაბადებულები**

პირველი წრე. მე-8 ტური
დასავლეთი ზონა
ბორჯომი 1:0 სპარტაკი
ცენტრალური ზონა
იმედი 0:1 მერანი
თ. ს. აკადემია 2:0 მთვარის გლობუსი
დინამო 0:1 ოლიმპიკი
ამერი 3:4 35-ე სკოლა

**1992 წელს დაბადებულები**

პირველი წრე. მე-8 ტური
ცენტრალური ზონა
იმედი 1:3 მერანი
თ. ს. აკადემია 1:2 მთვარის გლობუსი
დინამო 4:1 ოლიმპიკი
ამერი 2:3 35-ე სკოლა
დასავლეთი ზონა
პირველი წრე. მე-8 ტური
ბორჯომი 4:1 სპარტაკი

# მაიკლ ოუენი: ჩემი ნებისმიერი ნათქვამი ჩემსავე წინააღმდეგ გამოიყენება...



**აი**, რას ამბობს ინგლისის ნაკრებისა და „ნიუკასლ იუნაიტედის“ ვარსკვლავი მაიკლ ოუენი: „სრულიად მოულოდნელად, მე საფეხბურთო მოჯანყედ გამომაცხადეს. გამოვიდა, რომ ის კაცი ვარ, ვისაც ზოგადად მთელ მსოფლიოზე, კერძოდ კი, სემ ალარდაისზე სურს ბატონობა, მაგრამ ვაი, რომ ეს მოსაზრება თავიდან ბოლომდე ტყუილზეა აგებული...

...გულზე ხელს ვიდებ და ისე ვაცხადებ: ცხოვრებაში ერთი მწვრთნელისთვისაც არ შემიქმნია პრობლემა, მაგრამ აგერ უკვე რამდენიმე კვირაა, ხალხის წინაშე ისე წარმომაჩენენ, რომ იმედგაცრუებული, პერიოდულად კი, გაბრაზებული გახლავართ. ეს ყველაფერი ჩემი ბოლო ოპერაციის გამოა. ოპერაცია გერმანიაში გავიკეთე და მისი წყალობით რვა დღეში მოედანზე დავბრუნდი...

...წესით, ფეხბურთელის ასეთ სარეკორდო დროში გამოჯანმრთელებას სიხარული უნდა გამოეწვია, არა? რასაკვირველია, თავად გამოჯანმრთელების ფაქტიც ამ ისტორიის დადებითი ნაწილი გახლდათ, მაგრამ ვაგლახ, მას მალე უარყოფითი რეაქცია და ბრალდებები მოჰყვა: დამაბრალეს, თითქოს მე უსაფუძვლოდ ავჩქარდი, ოღონდ კი ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში ესტონეთსა და რუსეთთან მეთამაშა. ერთი სიტყვით, თქვეს, რომ კლუბს ნაკრები მირჩევნია, რასაც შედეგად ჩემსა და ალარდაისს შორის ნაპრალის გაღრმავება მოჰყვა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთ-ერთ პუბლიკაციას სათაურად ჩემი ვითომცდა ნათქვამი: „სემ, მოკეტე“ დაარქვეს. გთხოვთ, დააკვირდეთ ჩემს ლექსიკონს. მე „მოკეტეს“ და მსგავს სიტყვებს არასდროს ვამბობ. ეს ვიღაც უშრეტი ფანტაზიის მქონე ადამიანმა დამაბრალა, ამიტომ, ნება მომეცით, ვითარებას ნათელი მოვფინო...

...როგორც მე მივხვდი, ჩემი კლუბის მწვრთნელს სურს, რომ „ნიუკასლის“ ყოველი შეხვედრისთვის მზად ვიყო. გინდ დამიჯერეთ, გინდ არა და მეც ზუსტად იგივე მინდა. ამასთან ხაზი უნდა გავუსვა, რომ ძალიან იღბლიანი ადამიანი ვარ: ჩემი ქვეყნის ნაკრებშიც ვთამაშობ და კლუბშიც. მერწმუნეთ, სანამ შემეძლება, ყველა ღონეს ვიხმარ, რათა, როგორც ერთი, ასევე მეორე გუნდის შემადგენლობაში, რაც შეიძლება, მეტი გოლი გავიტანო. ორი კვირის წინანდელ Sport of the World-ში მკაფიოდ განვაცხადე, რომ ორი ოპერაციის შემდეგ საკუთარ მომავალს მხოლოდ „ნიუკასლს“ ვუკავშირებ. მაშინ დავწერე ისიც, რომ ნამკურნალევი მიზნად სანაკრებო პაუზის შემდეგ კლუბის პირველსავე შეხვედრაში, „სფურზის“ წინააღმდეგ თამაშს ვისახავდი, თუმცა ალარდაისმა თავადვე ისურვა ჩემი მოედანზე კიდევ უფრო ადრე, სანაკრებო პაუზამდე, „ევერტონთან“ შეშვება. და თქვენ წარმოიდგინეთ, როგორ მეწყინა, როდესაც მოედნის კიდესთან გასახურებლად გასულს ტრიბუნიდან მომესმა: „შედი, ოუენ, დროა, კლუბი ნაკრებზე წინ დააყენო“.

ამ ნათქვამმა გული განსაკუთრებით იმიტომაც მატკინა, რომ სულ ცოტა ხნით ადრე, ნაოპერაციევი, ტკივილს ვებრძოდი, რათა მოედანზე დროულად დაბრუნებულიყავი. ჩემს გარდა ხომ არავინ იცის, რა გადავლახე, მწყობრში უმოკლეს დროში რომ ჩავმდგარიყავი. და, როგორც ეტყობა, არავის უნდა დამიჯეროს, რომ ამას ორივე გუნდისთვის, „ნიუკასლისა“ და ნაკრებისთვის ვაკეთებდი. ფეხბურთელის კარიერა საკმაოდ ხანმოკლეა საიმისოდ, რომ კაცმა მნიშვნელოვანი შეხვედრები გამოტოვოს...

...მაგრამ, ხანდახან ვერ ვიმარჯვებ. იმავ ინგლისის ნაკრებში არის ხოლმე თამაშები, არაფერი რომ არ გამომდის და იმწუთას ცუდი ფეხბურთელის იარლიყს მაწებებენ. ხოლო, თუ შინ რუსეთთან და სტუმრად ესტონეთთან შეხვედრის დარად გოლების შეგდებას ვახერხებ, მაბრალებენ, რომ ნაკრებს კლუბზე მაღლა ვაყენებ. ერთი სიტყვით, კიდევ კარგი, გაწონასწორებული კაცი ვარ, თორემ, ალბათ, გავგიჟდებოდი...

...იცით, საკმაოდ დიდი ხანია, ფეხბურთში ვტრიალებ და კარგად ვიცი, რა საშინელებაა მოვლენებზე კონტროლის დაკარგვა. აი, მაგალითად, სანამ ნაკრებში გახლდით, ჩვენს პრესაში გახურდა მსჯელობა ჩემი კონტრაქტის შესახებ, გამოჩხრიკეს „ნიუკასლთან“ კონტრაქტის ის პუნქტები, სადაც ჩემს შესაძლო წასვლაზეა ლაპარაკი და დისკუსიაში ჩემივე თანაგუნდელი ჯოი ბარტონიც კი ჩაითრიეს. მან თქვა, რომ ინგლისის ნაკრებში თამაშამდე კლუბში თამაშით ფორმის აღდგენა სურს, რაც ჩემს წინააღმდეგ ირიბი დარტყმა გამოვიდა...

...და როგორ უნდა მოვიქცე ამის შემდეგ? რასაკვირველია, ყველაფერს სრული იგნორირება უნდა გავუკეთო და მხოლოდ საქმეზე გადავერთო. იმედი მაქვს, რომ ამის ძალა შემწევს. ასეთი რამ „ლივერპულში“ თამაშის წლებში ერთხელ უკვე გადავიტანე — სანამ „ენფილდზე“ გავითქვამდი სახელს, თავი ნაკრებში გამოვიჩინე, რაც „ლივერპულის“ ქომაგებს არ მოსწონდათ. ისინიც იმავეს მაბრალებდნენ, კლუბს ნაკრები გირჩევნიაო. როგორც გახსოვთ, გავიდა დრო და მე ისინი გავაჩუმე: 2005 წელს ჩვენგან სამი თასის მოპოვებას არავინ ელოდა. ის იყო და ის, ტრიბუნებიდან უკვე ისმოდა ჩემი სახელი, ხოლო გაზეთებში ჩემზე „ინგლისის ნაკრების ფორვარდ მაიკლ ოუენ“-ს კი არა, „ლივერპულის“ ფორვარდ მაიკლ ოუენ“-ს წერდნენ. ვფიქრობ, ნიუკასლელი ხალხის სიყვარულის მოპოვებაც იმავე მეთოდით არის საჭირო. თუ გოლების გატანას და ერთი-ორი ჯილდოს მოპოვებას შევძლებ, ყველა დაინახავს, რომ კლუბისთვის ფრიად თავდადებული გახლავართ. და რასაკვირველია, მე მინდა, რომ ეს სწორედ ასე მოხდეს, ოღონდ ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში გოლების გატანაც მწყურია...

...და დარწმუნებული ვარ, რომ ორივე ფრონტზე წარმატებით გამოსვლა სრულიად შესაძლებელია“.

**ბაჩუნა ძიდია**

# ნაკრებებს ზარმაცები წვრთნიან

## მაურინიუ პორტუგალიის წინააღმდეგ არ წავა



**ჟოზე მაურინიუ** კატეგორიულად აცხადებს, რომ ინგლისის ნაკრების სათავეში სტივ მაკლარენის შეცვლა არ აინტერესებს.

მოგეხსენებათ, მაკლარენის საქმე კარგად ვერ არის: დიდი შანსია, მისი გაწვრთნილი ინგლისის ნაკრები შესარჩევი ჯგუფიდან ვერ გავიდეს და ევრო 2008-ის მიღმა დარჩეს, მაურინიუმ კი სექტემბერში „ჩელსი“ დატოვა და ახლა უმუშევრად არის.

„საკუთარი თავი მხოლოდ პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელად წარმომიდგენია, სხვა ქვეყნის ეროვნულ გუნდზე კი ვერაფერს მოგახსენებთ. მე რომ რომელიმე სხვა ნაკრები ჩავიბარო და პორტუგალიის წინააღმდეგ მომიწიოს თამაშმა, რთულ დღეში აღმოვჩნდები. ეს სწორი არ იქნება. ვიცი, ინგლისში არის ხალხი, ვინც მეთაყვანება და მეც, ჩემი მხრივ, ინგლისურ ფეხბურთს ვეთაყვანები, მაგრამ ამჯერად ჩემი იქ დაბრუნება გამორიცხულია. ამ ეტაპზე მინდა, საკლუბო მწვრთნელის კარიერა გავაგრძელო, ვთქვათ, იტალიაში, სადაც დიდ ტაქტიკოსებთან წინააღმდეგობაში სიამოვნებით გამოვცდიდი თავს. რაც შეეხება ნაკრებს, ეს უფრო მოგვიანებით იქნება. პორტუგალიის ნაკრების გაწვრთნა უთუოდ ჩემი ოცნებაა, მაგრამ ეს დღევანდელი ჟოზე მაურინიუს საქმე არ არის. ნაკრების მწვრთნელობა კლუბის მწვრთნელობა ხომ არ არის. ეს მათი საქმეა, ვისაც ბევრი მუშაობა არ უყვარს“.

ინგლისის ნაკრებზე კი მაურინიუმ ის დასძინა, რომ თუ ფეხბურთის ასოციაცია მაკლარენის შეცვლას განიზრახავს, სჯობს, მისი შემცვლელიც ინგლისელი იყოს.

„მე საერთოდ ნაკრებში უცხოელების მიწვევის წინააღმდეგი ვარ და არა იმიტომ, რომ უცხოელთა პროფესიონალიზმი მაეჭვებს, არამედ იმიტომ, რომ ნაკრები ერთი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელებისა და მწვრთნელის თავმოყრის ადგილი მგონია...

...დიახ, ნაკრებში მუშაობა ჩემი იდეაფიქსია, მაგრამ ეს მხოლოდ კარიერის ბოლოს უნდა მოხდეს“.

**ბაჩუნა ძიდია**

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

## ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
### ჯგუფური ეტაპი. მესამე ტური. დღეს

# თქვენ არ გეწყინოთ და, ბარსა ბარსაა

**E ჯგუფი**

**შტუტგარტი — ლიონი**
**რეინჯერსი — ბარსელონა**

**„რეინჯერსს“** შეუძლია „ბარსელონას“ დამარცხება, თუ ფეხბურთელები საკუთარ ძალას ირწმუნებენ — თქვა „ჩაფრების“ მწვრთნელმა უოლტერ სმიტმა.

გასულ უქმეებზე გლაზგოურ დერბიში „რეინჯერსმა“ „სელტიკს“ 3:0 სძლია და სმიტის გუნდი კარგ ხასიათზეა. ნაჩო ნოვომ დუბლი შეასრულა, მესამე კი ბარი ფერგიუსონმა გაიტანა.

დღევანდელი მატჩის მომგები თითქმის გაინაღდებს მერვედფინალის საგზურს, რადგან „ბარსასაც“ და „რეინჯერსსაც“ ექვს-ექვსი ქულა აქვს. სმიტის აზრით, მის ფეხბურთელებს დიდი ევროგამოცდილება არ აქვთ, მაგრამ გზადაგზა იზრდებიან: „ჩვენ გადავაჭარბეთ მოლოდინს და ორი მატჩი მოვიგეთ. „ლიონს“ და „შტუტგარტს“ არ ეწყინოთ, მაგრამ „ბარსელონა“ გაცილებით მაღალი კლასისაა და ახლა უფრო რთული გამოცდა უნდა ჩავაბაროთ. ახალი ფეხბურთელები გვყავს გუნდში, რომლებიც ერთმანეთს ნელ-ნელა ეჩვევიან და ამის ფონზე ექვსი ქულა დიდებული შედეგია. ალბათ ვერავინ იტყვის გადაჭრით, რომ „ბარსას“ ვერ მოვუგებთ. ჩემპიონთა ლიგაში ბევრმა კლუბმა მიაღწია წარმატებას, „რეინჯერსს“ კი ჯერ არაფერი მოუგია, რაც ცოტა უცნაურია, მაგრამ



რეინჯერსელები: დევიდ ვეირი და ბარი ფერგიუსონი

AFP

ეს ფეხბურთელების ბრალი არაა. ამიტომაცაა მნიშვნელოვანი დღევანდელ მატჩში გამარჯვება. უნდა დავამტკიცოთ, რომ ვიმსახურებთ იქ ყოფნას, სადაც ევროპული გრანდები არიან“.

„რეინჯერსის“ მცველმა დევიდ ვეირმა განაცხადა: „ბარსელონაში“ არიან მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები და მათ წინააღმდეგ თამაშის შანსი რომ გვაქვს, ეს უკვე საუცხოო ამბავია. ჩვენ მოვიგეთ ორი მატჩი და, მგონი, თვალში აღარავის არ ვეპატარავებით, მათ შორის „ბარსასაც“.

მასპინძლებს ტრავმირებული ჰყავთ იბრაჰიმ ჰემდანი და ჟან-კლოდ დარშევილი, ხოლო სტუმრებს — იაია ტურე, ედმილსონი, რაფაელ მარკესი და დეკუ.

„ბარსელონამ“ შაბათს ვილიარეალში 1:3 წააგო და ეს იყო სეზონში პირველი მარცხი, რაც, ლილიან ტურამის აზრით, გუნდს არ წაახდენს: „ჩვენი სათამაშო ყაიდა, ლამაზი ფეხბურთი და ბევრი გოლები ნებისმიერ მეტოქეს აშინებს. შოტლანდიური ფეხბურთი აღმავლობის გზაზეა და ვიცით, რომ გლაზოში რთული მატჩი გველის, მაგრამ „ბარსა“ „რეინჯერსზე“ უკეთესი გუნდია“.

„ვილიარეალთან“ წაგების შემდეგ ფრანკ რაიკარდმა თქვა: „ყოველთვის შეიძლება მარცხის მიზეზის პოვნა. ჩვენ ცუდად შევასრულეთ სამუშაო და მეტოქემ ყველანაირად გვაჯობა“.

გერმანიის დაჩაჩანაკებული ჩემპიონი „შტუტგარტი“ „ლიონს“ უმასპინძლებს.

ფრანგთა მცველი სებასტიან სკილაჩი: „ვიცით, რომ ჯგუფიდან გასვლა თუ გვსურს, პირველ რიგში ორი მომდევნო მატჩი „შტუტგარტს“ უნდა მოვუგოთ. შეცდომის უფლება აღარ გვაქვს“.

„ლიონმა“ შაბათს „მონაკო“ 3:1 დაამარცხა და კვლავაც ცხრილის თავშია. გოლები ჟუნინიომ, რევეილიერმა და ქარიმ ბენზემამ გაიტანეს.

„შტუტგარტი“ ჰამბურგში 1:4 დამარცხდა. მწვრთნელმა არმინ ფეემ კი განაცხადა: „რაც შეიძლება, მალე უნდა დავივიწყოთ ეს წაგება“.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| რეინჯერსი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| შტუტგარტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| ლიონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |

# მგზავრეულებით კიევში

**F ჯგუფი**

**დინამო — მანჩესტერი**
**რომა — სპორტინგი**

**„მანჩესტერი“,** რომელმაც შაბათს, ალექს ფერგიუსონის აზრით, სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ითამაშა, კიევის „დინამოს“ ესტუმრება.

შაბათს „წითლებმა“ „ასტონ ვილა“ 4:1 გაანადგურეს.

კიევში მოგებით ინგლისის ჩემპიონი მერვედფინალისკენ დიდ ნაბიჯს გადადგამს.

დღეს სტუმრებს ლუის საა დააკლდებათ, ნემანია ვიდიჩის თამაში კი საეჭვოა, მაგრამ უეინ რუნი ფორმაშია, ვინც ერთი კვირის წინ მოსკოვში რუსეთსაც გაუტანა, „ასტონ ვილასთან“ კი დუბლი შეასრულა.

„მანჩესტერი“ უკრაინის დედაქალაქში კვირასვე ჩავიდა საკუთარი მზარეულებით.

„მგზავრობა დიდ მანძილზე ყოველთვის სახიფათოა — თქვა ფერგიუსონმა — კიევი ყველაზე შორსაა იმ ქალაქებიდან, რომლებშიც თამაში გვიწევს“.

„დინამომ“ ჯგუფში ორივე მატჩი წააგო, გასულ უქმეებზე კი ჩემპიონატში „ზაკარპატიეს“ 1:0 მოუგო. იოზეფ საბომ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი სამანჩესტეროდ დაასვენა. ტრავმები მოიშუშეს მცველმა პაპე დიაბატემ, ფორვარდმა ისმაელ ბანგურამ და ნახევარმცველმა ტარას მიხალიკმა. სერგეი რებროვი კი კვლავაც დაშავებულია.

სათასო მატჩში შერცხვენილი „სპორტინგი“ რომში ჩაბრძანდება.

შაბათს ლისაბონელები ქვედალიგელ „ფატიმასთან“ შინ 1:2 დამარცხდნენ და პორტუგალიის თასის გათამაშებას მოულოდნელად გამოეთიშნენ.

მწვრთნელმა ნამატჩევს თქვა: „ჩემი ბრალია, მაგრამ ეს მარცხი უნდა გავაანალიზოთ. „რომასთან“ შეხვედრა გველის და იქ უკეთ ვითამაშებთ“.

„რომა“ კი, როგორც იტალიური მედია წერს, საკუთარ თავს ეკითხება: „რა დაგვემართა?“

ლუჩანო სპალეტის გუნდმა შაბათს „ნაპოლისთან“ 4:4 ითამაშა.

„ეს ჩემი „რომა“ არ იყო, არ ვიცი, რა დაემართა. ძალიან უცნაური თამაში გამოვიდა“ — თქვა გენერალურმა მენეჯერმა როზელა სენსიმ.

მესამე გოლი „რომას“ კარში ჯანლუკა კურჩის დააბრალეს, რომელმაც განაცხადა: „მეტი ყურადღება გვმართებს, ეს ფრე უფრო ჩვენი ბრალია, ვიდრე „ნაპოლის“ კარგი თამაშის“. ხოლო მცველმა მატეო ფერარიმ აღნიშნა: „სკუდეტოს მსურველი გუნდი ასე არ უნდა თამაშობდეს“.



მანჩესტერელები კიევში

AFP

რომაელთა მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი: „სპორტინგთან“ აუცილებლად უნდა მოვიგოთ. მომდევნო ორ შეხვედრაზე იქნება დამოკიდებული ჯგუფიდან გასვლა. ეს მატჩები ნახევარფინალის ტოლია. მეტოქე შემტევი გუნდია და ბევრი ტექნიკური ფეხბურთელი ჰყავს, რაც შეეხება „ნაპოლისთან“ 4:4-ს, ვერ ვიტყვი, რომ კრიზისში ვართ. მშვიდად უნდა ვიყოთ, რადგან კრიზისზე საუბარი ამ დროს კარგს არაფერს მოგვიტანს“.

მასპინძლებს როდრიგო ტადეი, ალბერტო აკვილანი და მარკო ანდრეოლი ვერ დაეხმარებიან, სამაგიეროდ, მომჯობინდნენ მეკარე ალექსანდრე დონი, ჟუანი და კრისტიან პანუჩი.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| რომა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| სპორტინგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| დინამო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

# ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
## ჯგუფური ეტაპი. მესამე ტური. დღეს



რობერტო მანჩინი



პატრიკ ვიეირა მოსკოვში

AFP

# მორატის გაბრაზებული ადრიანო უხარია

**G ჯგუფი**

**ცსკა — ინტერი**

**პსვ — ფენერბაჰჩე**

**ადრიანომ** 15 აპრილის შემდეგ მივიწყებული შაბათს „რეჯინასთან“ გაიხსენა — გოლი გაიტანა. მეორე ტაიმში შეცვალეს, გაბრაზებულმა კი რობერტო მანჩინის ხელი არ ჩამოართვა.

„ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი ბრაზილიელს გაბრაზებით გახარებულა: „მანჩინი-ადრიანოს ამბავი მოგვარებულია. არაერთხელ მითქვამს, რომ კარგია, როცა ადრიანო ბრაზობს. ესე იგი, თამაში და გოლი სწყურია. ვულოცავ მას და ვარწმუნებ — ჩვენ ის გვჭირდება, რადგან, როგორც ფეხბურთელი, კვლავაც იზრდება“.

დღეს „ინტერი“ ცსკა-ს ესტუმრება. უკვე რამდენიმე თვეა, ვალერი გაზაევის მოხსნაზე ლაპარაკობენ, მაგრამ, ეტყობა, სეზონს მაინც ჩაამთავრებს. კლუბის პრეზიდენტმა ევგენი გინერმა ფეხბურთელებს უთხრა, რომ ჯგუფიდან თუ ვერ გავლენ, პრემიებს ვერ მიიღებენ. ცსკა-მ პირველ ტურში პსვსთან წააგო, შემდეგ კი შინ „ფენერბაჰჩეს“ დაუზავდა. „ინტერთან“ მარცხის შემთხვევაში, მოსკოველებს მერვედფინალში გასვლის ძალიან მცირე შანსი დარჩებათ. რუსეთის პრემიერლიგაში მესამე ადგილზე არიან და, ბოლო ექვს წელიწადში პირველად, შესაძლოა, ზედა ორეულში ვერ მოხვდნენ.

ვალერი გაზაევი: „ინტერთან“ საუკეთესო თვისებები უნდა გამოვავლინოთ, ყველა ფეხბურთელი ჯანზეა, მხოლოდ ვაგნერ ლავია ცოტა გადაღლილი ბრაზილიიდან დაბრუნების შემდეგ. ცხადია, ჩვენი მიზანი მერვედფინალია და ამისთვის ვიბრძოლებთ.“

ცსკა-ს ნახევარმცველ დანიელ კარვალიუს თითქმის წელიწადი გაუცდა ტრავმის გამო და ახლა უკვე მომჯობინდა. მან სტუმრად „ტომთან“ მოგებულ მატჩში 70 წუთი ითამაშა და, შესაძლოა, დღესაც ძირითად შემადგენლობაში იყოს.

„ვალენსიასთან“ ჩხუბის გამო დასჯილმა ივან კორდობამ და ფორვარდმა ხულიო კრუზმა დისკვალიფიკაცია მოიხადეს. მაიკონს ერთი, ხოლო ბურდისოს ოთხი დარჩა მოსახდელი. დასჯილები არიან კრისტიან კივუ და დავიდ სუაზო. ტრავმირებულია მარკო მატერაცი, ხოლო პატრიკ ვიეირა გამოკეთდა.

შაბათს „რეჯინასთან“ მეკარე ჟულიო სეზარი მწვრთნელმა დაასვენა, მაგრამ დღეს ალბათ ითამაშებს.

ეინდჰოვენში პსვ „ფენერბაჰჩეს“ დაუხვდება, რომელმაც ჩემპიონატში „ქონიას“ 4:1 მოუგო. პსვ-მ კი „ვენლოს“ 3:1 სძლია. რონალდ კუმანმა ნამატჩევს თქვა: „ბევრი საგოლე მომენტი არ გვქონდა, მაგრამ სამი მაინც გავიტანეთ. ვიმედოვნებთ, რომ „ფენერთან“ უკეთესად ვითამაშებთ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ინტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| პსვ | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ცსკა | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |

# მეთოფეების მეთორმეტე სამიზნე

**H ჯგუფი**

**სევილია — სტიაუა**

**არსენალი — სლავია**

**„არსენალი“** შესანიშნავ ფორმაშია და „სლავიას“ ძლევით მოგებათა სერიის გაგრძელება სურს. პრემიერლიგაში თუ ჩემპიონთა ლიგაში „მეთოფეებმა“ ზედიზედ 11 მატჩში იმარჯვეს, რითაც 2002 წლის შედეგი გაიმეორეს. არსენ ვენგერის გუნდმა შაბათს „ბოლტონი“ 2:0 დაამარცხა, გოლები კი კოლო ტურემ და ტომაშ როსიცკიმ გაიტანეს.

„არსენალს“ ტრავმირებული ჰყავს მთავარმეგოლე რობინ ვან პერსი, რომელიც ერთი თვე ვერ ითამაშებს.

ვენგერმა „სლავიასთან“ მატჩამდე ახალგაზრდა ფეხბურთელებზე ილაპარაკა, რომლებმაც მოლოდინს გადააჭარბეს და პრემიერლიგის ლიდერობას იმსახურებენ: „ჯერ კიდევ ვერ მომინელებია პსვ-სთან წინა სეზონის მერვედფინალში მარცხი. მაშინ, თითქოს სათანადოდ ვერ შევაფასეთ მეტოქე და ამიტომ ახლა საგანგებოდ გავაფრთხილე ბიჭები — „სლავია“ ჩვენზე სუსტი კი ჩანს, მაგრამ მოდუნების უფლება არ გვაქვს. ახალგაზრდა ფეხბურთელები გაიზარდნენ და ამჟამად უფრო გამოცდილები არიან, ზედიზედ მოგებებმა კი მათ თავდაჯერებულობა შემატა“.

„სლავია“ ჩეხეთის ჩემპიონატის ლიდერია — 10 მატჩიდან რვა მოიგო. გასულ პარასკევს „პლზენს“ უმასპინძლა და 3:0-ით გაისტუმრა.

ფორმაშია მთავარმეგოლე სტანისლავ ვლჩეკი, რომელმაც „პლზენთან“ დუბლი შეასრულა.

მწვრთნელმა კარელ იაროლიმმა ნამატჩევს განაცხადა: „მესამე წუთზე გატანილმა გოლმა დაგვამშვიდა, თუმც პირველ ტაიმში კარგად მაინც ვერ ვითამაშეთ — განსაკუთრებით ნახევარდაცვაში. მეორე ნახევარი უკეთესი იყო და 2:0-ის შემდეგ გამარჯვებაში დარწმუნებული ვიყავი“.

ბუქარესტის „სტიაუა“, რომელმაც ჯგუფში ორივე მატჩი წააგო, სევილიას ესტუმრება.

ხუანდე რამოსის გუნდმა პრიმერადივიზიონში სტუმრად „ლევანტეს“ 2:0 მოუგო ლუიშ ფაბიანოს წყვილი გოლით და მეთერმეტე ადგილს უწია.

„გამარჯვება ყოველთვის სასიამოვნოა, მაგრამ ეს განსაკუთრებული იყო, რადგან ზედიზედ რამდენიმე წაგების შემდეგ სამი ქულა ავიღეთ — თქვა რამოსმა — ვიმედოვნებ, რომ ამ მატჩიდან კვლავაც დაიწყება ჩვენი აღმასვლა“.

„ლევანტესთან“ შეხვედრა ტრავმის გამო ფრედერიკ კანუტემ გამოტოვა, მაგრამ მომჯობინდა და დღეს ალბათ ითამაშებს. დაშავებულნი არიან ჟულიენ ესკუდე და ენცო მარესკა.

მსუბუქი ტრავმები მოიშუშეს არუნა კონემ, დანი ალვეშმა და ხალიდ ბულარუზმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| სევილია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| სლავია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| სტიაუა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |



სევილიელები კარგ განწყობაზე არიან

AFP



# არსენის 11

არსენ ვენგერმა საინტერესო გუნდის შემადგენლობა შესთავაზა საზოგადოებას. მოგეხსენებათ, ფრანგი მწვრთნელი უკვე 11 წელიწადია, ინგლისში, ზუსტად კი ლონდონში, „არსენალის" თავკაცად საქმიანობს და ამ 11 წლის მანძილზე, ბუნებრივია, ჰყავდა 11 რჩეული ფეხბურთელი. „მეთოფეთა" ბოსმა სწორედ ისინი ჩამოწერა და ორი სიტყვით დაახასიათა კიდეც...

### დევიდ სიმენი
**მეკარე, 245 მატჩი**

ის მუდმივად მშვიდი და ღიმილიანი გახლდათ. როცა „კედელთან მიაყენებდნენ", ყოველთვის ადექვატურ პასუხს იძლეოდა — მისი თავაზიანობის უკან ფოლადის ხასიათი იდგა.

### ლორენი
**მარჯვენა მცველი, 227 მატჩი**

როდესაც ის „არსენალში" წამოვიყვანე, ნახევარმცველი გახლდათ, თუმცა მე ლი დიქსონის შემცვლელად, მცველად მესახებოდა. ის ძალიან მკვახე ხასიათის ბიჭია, ნამდვილი მეომარი. მისგან რამე თუ გინდა, ომისთვის უნდა მოემზადო. ის ნებისმიერ მეტოქეს ებრძოდა და არასდროს დანებებულა.

### ეშლი კოული
**მარცხენა მცველი, 218 მატჩი**

ეშლი გულით თეთრ-წითელია და მთელი ცხოვრება ასეთად დარჩება. ის შეტევის მოყვარული მცველია. ის ყველას უყვარს, რადგან როცა მისი რომელიმე თანაგუნდელი ბურთს მოიპოვებს, ის მყისვე გვერდით ამოუდგება, რათა თამაშის გაგრძელება შესთავაზოს და შეუტიოს.

### მარტინ კიოუნი
**ცენტრალური მცველი, 250 მატჩი**

მარტინს მთელი კარიერის განმავლობაში გამარჯვება შიოდა. პირისპირ წარმოუდგენლად ძლიერი გახლდათ. ის არც ტექნიკით დაიწუნებოდა, თუმცა ხანდახან საკუთარი თავის რწმენა ღალატობდა.

### კოლო ტურე
**ცენტრალური მცველი, 217 მატჩი**

კოლო ჩემამდე სამმა კლუბმა დაიწუნა, ასე რომ, საკმაოდ ხანმოკლე ვაჭრობის შედეგად ვიყიდე. მაშინ ისიც ნახევარმცველი იყო, თუმცა მისმა დაცვაში დაწევამ საოცარი შედეგი მოგვცა. მას საოცარი თანდაყოლილი თვისება აქვს: სხვების დახმარება და დაზღვევა უყვარს. ის მზადაა, ყველასთვის 100 პროცენტი გაიღოს.

### ფრედი ლიუნგბერგი
**მარჯვენა ნახევარმცველი, 285 მატჩი**

როგორც კი ვნახე, შვედეთის ნაკრების შემადგენლობაში ინგლისის წინააღმდეგ როგორ თამაშობდა, მისი ფანი გავხდი. მან მარტინ კიოუნზე ჯიქურ გაიწია და გასცდა. წაგებული თამაშის შემდეგ ორი დღე ცუდად არის.

### პატრიკ ვიეირა
**ცენტრალური ნახევარმცველი, 393 მატჩი**

როგორც კი გადაწყდა, რომ სამუშაოდ „არსენალში" მოვდიოდი, პატრიკს დავურეკე და ჩემთან ერთად წამოსვლა ვთხოვე. ის მთავარია. სულერთია, სად ხარ, წვიმიან შეფილდში ორშაბათ საღამოს თუ მილანში, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში, ის ბოლომდე შენთანაა.

### რეი პარლოუ
**ცენტრალური ნახევარმცველი, 270 მატჩი**

გუშინწინ ელისი ცოტა მოფერიანდა და მძლავრ „ხირონას" შინაურ დარბაზში თამამად ეომა. 37 წუთში 11 ქულა მიაშველა თავისიანებს, მაგრამ ბოლო წამებზე სანფერნანდოელებს არ გაუმართლათ — 79:80 წააგეს და 4-დან 4 მარცხით პრიმერადივიზიონის ფსკერზე იმყოფებიან.

### უკრაინა

ორი შესანიშნავი მატჩი ჩაითამაშა მანუჩარ მარკოიშვილმა „ბკ კიევში". მისმა ახალმა გუნდმა ჯერ უკრაინის თასის მატჩი მოიგო და შემდეგ სუპერლიგაშიც მიაღწია წარმატებას. ორივე მატჩში ისახელა თავი ქართველმა უკანახაზელმა, თუმცა სამწუხარო ისაა, რომ მარკოიშვილი ჯერ ხუთეულში ვერ დამკვიდრდა.

შუა კვირაში კიეველებმა თანაქალაქელ „ბუდეველნიკს" მოუგეს 106:63 და საპასუხო მატჩს, რომელიც „ბკ კიევის" დარბაზში უნდა გაიმართოს, აზრი დაუკარგეს. მარკოიშვილმა 20 წუთი ითამაშა და 10 ქულასთან ერთად 4 ჩაჭრა, 3 მოხსნა და 2 პასი მიითვალა. საპასუხო მატჩი დღეს გაიმართება და „ბკ კიევიც" ალბათ იოლად გავა მომდევნო წრეში.

უკრაინის ჩემპიონატის მორიგ ტურში კი კიეველებმა კრივბასელები შეარცხვინეს. 104:72 მოგებულ მატჩში მარკოიშვილმა 22 წუთამდე ითამაშა და 16 ქულა მიაშველა თავისიანებს. სამიდან სამი გამარჯვებით „ბკ კიევი" სუპერლიგის ლიდერია კიდევ ორ გუნდთან ერთად.

### ესტონეთი

გასულ სეზონში გიორგი ცინცაძის „როკმა" წაუგებლად განვლო ჩემპიონატის ნახევარი, მაგრამ ახლა ის შემართება აშკარად აკლია. მესამე ტურის მატჩი კი მოიგეს ტარტუელებმა, მაგრამ ვიღაც „ვალგასთან", რომელსაც წინა სეზონში სულ თავში უტყაპუნებდნენ, გაუჭირდათ და საბოლოოდ მხოლოდ 6 ქულით იმარჯვეს. თანაც „როკერებმა" წინა შეხვედრები წააგეს და ახლა ცხრილში შეუფერებლად დაბლა მეოთხე ადგილზე არიან.

„ვალგასთან" ცინცაძემ 35 წუთი ითამაშა და 8 ქულასთან ერთად 2 პასი და 1 მოხსნა მიითვალა.

### ნბა

გასულ კვირაში ზაზა ფაჩულიასთვის ცუდი და კარგი ამბავი მოხდა. კარგი ისაა, რომ „მინესოტასთან" საგამოფენო მატჩში მან 19 წუთში 16 ქულა გააკეთა და ატლანტელთაგან ბომბარდირი გახდა, ხოლო ცუდი მისი ტრავმაა, რომელიც ზაზამ „შარლოტთან" მატჩის მესამე მეოთხედში მიიღო და თამაშს გამოეთიშა.

საბედნიეროდ, ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და ზაზა ნბა-ს ახალ სეზონს, რომელიც „ატლანტასთვის" 2 ნოემბერს იწყება, სრულ მზადყოფნაში შეხვდება.

**ირაკლი პერტაია**



# სომხეთში კომერციული ხალიჩა იშლება
## ბალავაძე-კარტოზია საშემოდგომოდ გადაწიეს

**ხვალ** დილით საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები სომხეთში გაემგზავრება სტეფან სარგსიანის სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე გამოსასვლელად. ეს კომერციული შეჯიბრი 27-28 ოქტომბერს ჩატარდება. ჩემპიონ-პრიზიორები, შესაბამისად, 3 ათას, 2 ათას და ათას დოლარს მიიღებენ. როგორც წესი, სარგსიანის მემორიალს მსოფლიოს უძლიერესი მოჭიდავეები სტუმრობენ ხოლმე. სავარაუდოდ, ახლაც ასე იქნება. საქართველოს ნაკრები კი მეზობელ ქვეყანას გაფართოებული შემადგენლობით ეწვევა.

„სომხურ განაცხადში შედიან: ბესიკ გუჩაშვილი, მალხაზ ქურდიანი, მალხაზ ზარქუა, გიორგი ბალიაშვილი, ოთარ თუშიშვილი, კობა კაკალაძე, მიხეილ ზარქუა, გელა საღირაშვილი, ნიკოლოზ ტლაშაძე, რევაზ მინდორაშვილი, ლაშა ქეთიშვილი, ნიკოლოზ გაგნიძე, ალეკო პატარქალიშვილი, გიორგი გოგშელიძე, ლექსო მოდებაძე, დავით მოძმანაშვილი და გივი დავიდოვი. თუმცა არ გამოვრიცხავ, ნაკრების გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე შემადგენლობას ვინმე გამოაკლდეს ან მიემატოს" — გვითხრა გუშინ ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ომზარ შოშიტაშვილმა**.

როგორც ხედავთ, სიაში თითქმის ყველა უძლიერესი ქართველი მოჭიდავეა. გამონაკლისი მხოლოდ ლუკა კურტანიძეა. შოშიტაშვილის თქმით, ლუკა ამ დღეებში დაბრუნდა გერმანიიდან, სადაც საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობდა და სომხეთში გამგზავრებისგან თავი გადაღლილობის გამო შეიკავა.

სარგსიანის ტურნირზე საქართველოს ნაკრებს სამი მწვრთნელი — მარლენ ოსიყმაშვილი, დავით ხურცია და ალექსანდრე კახნიაშვილი ჩაიყვანს. მალხაზ ჯორბენაძე და დავით ურიდია კი ორგანიზატორებმა სამსაჯოდ მიიწვიეს. თურმე შეჯიბრის შემდეგ მსაჯებს ახალი კატეგორიები დაურიგდებათ და გამორიცხული არაა, ჩვენებურებმა სტატუსი აიმაღლონ. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია სომხეთში თეორიისა და პრაქტიკის სპეციალური ლექციების ჩატარებასაც გეგმავს.

ამ კვირაში საერთაშორისო ტურნირი სტამბოლშიც გაიმართება, ოღონდ ახალგაზრდებისთვის და ხალიჩაზე ქართველი თავისუფლები და ბერძენ-რომაელებიც გავლენ. ნუგზარ სხირელის და ვლადიმერ ადეიშვილის გუნდები თურქეთში დღეს მიდიან.

დაბოლოს, ერთი საინტერესო ინფორმაციაც. ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში უკვე თითქმის დაასრულეს მომავალი წლის კალენდრის შედგენა. გივი კარტოზიას და ვახტანგ ბალავაძის სახელობის თბილისის საერთაშორისო ტურნირი პეკინის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ გაიმართება. უფრო ზუსტად კი 11-12 ოქტომბერს. ამ სიახლის შესახებ ქართული ჭიდაობის თავკაცებმა უკვე თითქმის ყველა ქვეყნის ფედერაციაში აფრინეს შეტყობინება.

**ოთარ მალლაკელიძე**


სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42ა, II კორპუსი,
IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

# კაცები

## განთესვის რეიტინგი

| | | |
|---|---|---|
| 1. | როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 7205 |
| 2. | რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 5385 |
| 3. | ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 4470 |
| 4. | ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 3250 |
| 5. | ენდი როდიკი (აშშ) | 2439 |
| 6. | დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 2130 |
| 7. | ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2110 |
| 8. | ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2020 |
| 9. | ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1965 |
| 10. | ტომი ჰაასი (გერმანია) | 1870 |
| 11. | რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1855 |
| 12. | გილერმო კანასი (არგენტინა) | 1718 |
| 13. | ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1715 |
| 14. | ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 1675 |
| 15. | კარლოს მოია (ესპანეთი) | 1620 |
| 16. | ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 1480 |
| 17. | ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 1455 |
| 18. | დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1435 |
| 19. | მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1410 |
| 20. | ხუან მონაკო (არგენტინა) | 1385 |

## საჩემპიონო რბოლა

| | | |
|---|---|---|
| 1. | როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 1241 |
| 2. | რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 1037 |
| 3. | ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 893 |
| 4. | ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 530 |
| 5. | ენდი როდიკი (აშშ) | 466 |
| 6. | დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 425 |
| 7. | ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 368 |
| 8. | ტომი ჰაასი (გერმანია) | 329 |
| 9. | ტომი რობრედო (ესპანეთი) | 328 |
| 10. | ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 327 |
| 11. | რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 321 |
| 12. | ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 318 |
| 13. | კარლოს მოია (ესპანეთი) | 316 |
| 14. | ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 315 |
| 15. | გილერმო კანასი (არგენტინა) | 295 |
| 16. | ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 284 |
| 17. | მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 282 |
| 18. | ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 281 |
| 19. | ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 273 |
| 20. | ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 271 |

# ქალები

## განთესვის რეიტინგი

| | | |
|---|---|---|
| 1. | ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 5930 |
| 2. | სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3750 |
| 3. | ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3475 |
| 4. | ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3175 |
| 5. | მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2861 |
| 6. | სერენა უილიამსი (აშშ) | 2767 |
| 7. | ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2625 |
| 8. | ვინუს უილიამსი (აშშ) | 2470 |
| 9. | მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 2096 |
| 10. | დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 2027 |
| 11. | ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2022 |
| 12. | ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1976 |
| 13. | ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1906 |
| 14. | ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1904 |
| 15. | ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1882 |
| 16. | დინარა საფინა (რუსეთი) | 1820 |
| 17. | პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1704 |
| 18. | შაჰარ პირი (ისრაელი) | 1675 |
| 19. | მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1502 |
| 20. | აგნეს სჟავაი (უნგრეთი) | 1332 |

## საჩემპიონო რბოლა

| | | |
|---|---|---|
| 1. | ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 5405 |
| 2. | ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 4097 |
| 3. | სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3691 |
| 4. | ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3163 |
| 5. | სერენა უილიამსი (აშშ) | 2767 |
| 6. | ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2628 |
| 7. | ვინუს უილიამსი (აშშ) | 2470 |
| 8. | მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2431 |
| 9. | დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 2156 |
| 10. | მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 2099 |
| 11. | ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2023 |
| 12. | ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1918 |
| 13. | დინარა საფინა (რუსეთი) | 1903 |
| 14. | ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1864 |
| 15. | ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1816 |
| 16. | პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1746 |
| 17. | შაჰარ პირი (ისრაელი) | 1699 |
| 18. | ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1538 |
| 19. | სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1496 |
| 20. | მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1372 |

# სარეიტინგო ადი-ჩადი

**გუშინ** პროფესიონალ ჩოგბურთელთა მორიგი რეიტინგები გამოქვეყნდა და მათში ერთი კვირის წინანდელის მსგავსად, კვლავაც თხუთმეტი ქართველია მოხსენიებული — ხუთი კაცი და ათი ქალი. წინა კლასიფიკაციებთან შედარებით, ჩვენებურთა მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა. უმრავლესობამ მცირედით წინ წაიწია, რამდენიმემ, პირიქით, ცოტათი დათმო პოზიცია, ხოლო მაკა ჩახნაშვილი და ოქსანა კალაშნიკოვა ისევ იქ არიან, სადაც იყვნენ.

**კაცები**

| | |
|---|---|
| 354 (-4) ლადო ჩიხლაძე | 94 |
| 944 (+2) ირაკლი ლაბაძე | 9 |
| 1240 (+5) ნოდარ ითონიშვილი | 3 |
| 1465 (+9) გიორგი ხრიკაძე | 1 |
| 1465 (+9) გიორგი ჭანტურია | 1 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| 162 (0) მაკა ჩახნაშვილი | 195,5 |
| 273 (+7) ანა ტატიშვილი | 90,75 |
| 426 (+1) სოფო შაფათავა | 43,0 |
| 558 (-12) სალომე დევიძე | 26,0 |
| 609 (-3) თინა ყაველაშვილი | 21,0 |
| 626 (0) ოქსანა კალაშნიკოვა | 19,5 |
| 640 (-2) მანანა შაფაქიძე | 19,0 |
| 733 (+1) სოფო მელიქიშვილი | 13,5 |
| 748 (+1) სოფო ქვაცაბაია | 13,0 |
| 815 (+8) ეკა გორგოძე | 10,0 |

# ბადეში ერთი შევიდა

**ერთბაშად** ხუთი ქართველი ჩოგბურთელი ჩაება ITF-ის ეგიდით სტამბულში მიმდინარე 25-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ბრძოლებში, მაგრამ ამ ხუთეულიდან ძირითად ბადეში მხოლოდ ერთი გავიდა.

სამნი — სოფო ქვაცაბაია, ეკა გორგოძე და ოქსანა კალაშნიკოვა პირველივე წრეში დამარცხდნენ. ქვაცაბაიას 6:2 7:6 მოუგო 18 წლისა და რეიტინგში 674-ე ადგილზე მყოფმა უკრაინელმა ლესია ცურენკომ, გორგოძეს 6:3 6:1 სძლია კლასიფიკაციაში 486-ე პოზიციაზე მყოფმა თურქმა კაგლა ბუიუკაჭაიმ, ხოლო კალაშნიკოვას რეიტინგის 878-ე საფეხურზე მდგომმა 16 წლის რუმინელმა ალექსანდრა დამაშინიმ სძლია.

პირველი ბარიერი სოფო შაფათავამ და თინა ყაველაშვილმა დაძლიეს. შაფათავამ ურეიტინგო თურქი დილარა იურტკურანი 6:2 6:0 გაანადგურა, ყაველაშვილმა კი 6:4 6:3 მოუგო ასევე ურეიტინგო ბულგარელ ტანია გერმანლიევას.

საკვალიფიკაციო ბადე ისე იყო შედგენილი, რომ მეორე და გადამწყვეტ წრეში შაფათავა და ყაველაშვილი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ და გამარჯვებული ძირითად ბადეში მოხვდებოდა.

კიდევ ერთი ქართველი, კერძოდ კი სალომე დევიძე, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ აუგუსტას ჰარდზე მიმდინარე 25-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში მოხვედრას კვალიფიკაციიდან ცდილობდა, მაგრამ პირველივე წრეში 4:6 7:6 3:6 დამარცხდა 21 წლისა და რეიტინგში 768-ე ადგილზე მყოფ ამერიკელ ტიია როლისთან.

# ნალბანდის ბიჭს ხარაზობაც ეხერხება

**ათიოდე** დღის წინ ვამბობდით, დავიდ ნალბანდიანი კარიერის უსაზიზღრეს სეზონს ატარებსო. მართლაცდა, ტოპათეულში ყოფნას მიჩვეული არგენტინელის საუკეთესო შედეგი წლეულს ბარსელონას მეორეხარისხოვან ტურნირზე მეოთხედფინალში გასვლა იყო. ამის მეტი დავიდს ღირებული არაფერი გაეკეთებია, მაგრამ მან წლის ასევე უხეიროდ დასრულება არ ინება და სეზონის მიწურულს კუდიც მოიქნია.

არგენტინელმა მადრიდში მცირე სასწაული მოახდინა და გარდა იმისა, რომ მასტერსის ტურნირი მოიგო, პატარა რეკორდიც მოინაგრა, როცა მიყოლებით გააკრა ბეჭებზე მსოფლიოს პირველი, მეორე და მესამე ნომრები. 1994 წლის შემდეგ (მაშინ იგივე ბორის ბეკერმა სტოქჰოლმში შეძლო) ასეთი რამ მხოლოდ ნოვაკ ჯოკოვიჩს გაეკეთებინა. სერბმა წლეულს ზედ აშშ-ს ღია პირველობის წინ, მონრეალის მასტერსზე დასცა მიყოლებით ენდი როდიკი (3), რაფაელ ნადალი (2) და როჯერ ფედერერი (1).

ისე, სერბი არგენტინელის რეკორდშიც აღმოჩნდა გარეული, რადგანაც ნოვაკი თავად არის ახლა მსოფლიოს მესამე ჩოგანი და ერთი იმათგანი იყო, ვისაც ნალბანდიანი მოერია. ეს ნახევარფინალში მოხდა, მანამდე კი პატაგონიელმა რაფაელ ნადალს გადაურბინა და კვირას ფინალში როჯერ ფედერერიც აღარ დაინდო.

არადა, შვეიცარიელმა უკეთ დაიწყო და პირველი სეტი სათავისოდაც დაასრულა, მაგრამ ნალბანდიანი სწორედ ამის შემდეგ ათამაშდა და მსოფლიოს ნომერ პირველ ჩოგბურთელს ფარ-ხმალიც დააყრევინა, რითაც ალპელთან ზედიზედ ხუთმატჩიანი წაგებების სერიას მოუღო ბოლო. მათი პირადი შეხვედრების ანგარიში ახლა 8:7-ია ფედერერის სასარგებლოდ.

ნალბანდიანმა კი კარიერაში მეექვსე ტიტული მოიგო. ბოლოს მან შარშან ეშტორილში იმარჯვა. მადრიდული წარმატების შემდეგ კი არგენტინელი რეიტინგში მე-20 საფეხურამდე აღზევდა და ახლა წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოხვედრის თეორიული შანსი გაუჩნდა. შანხაიში გამსვლელ ბოლო, მერვე ადგილთან დავიდი 74 ქულას აგებს და ჩინეთის ბილეთის მოსაპოვებლად ძალიან უნდა გაუმართლოს.

აი, ფედერერმა კი მადრიდის ფინალში გასვლით ფაქტობრივად გაინაღდა წლის რეიტნგის პირველ საფეხურზე დასრულება. ის ახლა ნადალს 204 ქულით უგებს. თან ნადალი ამ კვირაში ისვენებს მაშინ, როცა ალპელი მშობლიურ ბაზელში პირველ ნომრად არის განთესილი და აქაც ფინალს თუ უწია, პირველ ადგილს საბოლოოდ დაიბევებს.

ნალბანდიანისგან განსხვავებით, ქალთა ჩოგბურთის ლიდერიტ ჟუსტინ ენინი კარიერის საუკეთესო სეზონს ატარებს. ჭინკა ბელგიელმა ციურიხში თავისი სიძლიერე ყველას კიდევ ერთხელ აჩვენა და ძალიან წარმომადგენლობით ტურნირზე, სადაც თითქმის ყველა ტოპმეჩოგნე თამაშობდა, ადვილად იპირველა.

როგორც შტუტგარტში ორი კვირის წინ, ენინი ფინალში ახლაც ტატიანა გოლოვინს გადაეყარა და, გერმანიისგან განსხვავებით, შვეიცარიაში ფრანგი იოლად დასცა. ბენილუქსელმა ისევ მძიმედ კი დაიწყო და მეტოქეს 1:4 დაწინაურების საშუალება მისცა, თუმც ზედიზედ ხუთი გეიმის მოგებით სეტი მაინც სათავისოდ დაამთავრა, მეორეში კი ბრეიკი მალევე გააკეთა და მატჩი თავისაუტკივებლად მიიყვანა გამარჯვებამდე.



ენინმა წლეულს რამდენიმე პირადი რეკორდი დაამყარა — უკვე ცხრა ტიტული მოიგო (საუკეთესო შედეგი აქამდე 8 გახლდათ, 2003 წელს); გარდა ამისა, ბელგიელმა თავისთვის სარეკორდოდ ბევრი, 4 365 086 დოლარი ჩაიჯიბა (საუკეთესო იმავე 2003 წლის მონაგარი გახლდათ — 4 204 810 დოლარი). თანაც, ენინმა უკვე კარგა ხანია, გაინაღდა წლის რეიტინგის სათავეში დასრულება.

**ქახა ლოთკუჩილი**

# RUGBY WORLD CUP 2007

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი



## ქურციკებმა ოსკარები დაინაწილეს: მთავარ როლში ბრაიან ჰაბანა

**მსოფლიოს თასის** ფინალის შემდეგ რაგბის საერთაშორისო საბჭომ (**IRB**) განვლილი სეზონი შეაჯამა და თავისი „ოსკარებიც" ჩამოარიგა. ყველაზე მნიშვნელოვანი სარაგბო ოსკარები, ცხადია, სამხრეთაფრიკელებმა დაინაწილეს, რაკი მსოფლიოს თასი დაუმარცხებლად განვლეს, 1995 წლის შემდეგ მეორე გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები და ამით ავსტრალიას გაუტოლდნენ, რომელმაც 1991 და 1999 წლის მსოფლიოს თასები მოიპოვა. მათ გარდა მსოფლიოს თასი ორჯერ არავის მოუგია.

ირბ-ის გადაწყვეტილებით, წლის საუკეთესო მორაგბე წლევანდელი მსოფლიოს თასის და სამხრეთ აფრიკის მელელოვე (8 ლელო) ბრაიან ჰაბანა გახდა, ვისაც რაგბის პელეს ეძახიან. წლის გუნდად, ცხადია, სამხრეთ აფრიკა დასახელდა. მათი მწვრთნელი, დამსახურებულ პენსიაზე გასული ჯეკ ვაიტი კი საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს.

საუკეთესო ახალგაზრდა მორაგბე 19 წლის ახალზელანდიელი რობერტ ფრეენი გახდა წლის შეიდკაცა ნაკრებად ახალი ზელანდია დასახელდა, საუკეთესო მოშეიდკაცეც ახალზელანდიელივე აფელიკე პელენაისია. ქალთა რაგბიში საუკეთესო მოლვაწედ ბრიტანელი სარა კორიგანი მიიჩნიეს, ვინც პირველი ქალი შეიქნა მდედრთა ტურნირებს გარდა ხვადების რაგბობაშიც რომ მიიღო მონაწილეობა. კონკრეტულად კი, სარა კორიგანი პირველი ქალია, ვინც 19-წლამდელთა ჭაბუკთა მსოფლიოს თასზე ზიმბაბვე-კანადა იმსაჯა. აქვე ვთქვათ, რომ წლის მსაჯად ინგლისელი დიკ ბაირსი დასახელდა, რომელმაც მსაჯობა ათი წლის წინ დაიწყო და წლეულს თავი მიანება.

წლევანდელი მსოფლიოს თასის საუკეთესო ლელოდ ტომით ტონგელი ამერიკელი ტაკუძვა ნგვენიას ლელო მიიჩნიეს. ეს ლელო ჯგუფური ეტაპის აშშ — სამხრეთ აფრიკის მატჩისას გავიდა. ნგვენიამ ბურთი თავის ლელოსთან მიიღო, სამი პასის შემდეგ ბურთი კვლავ მიუვიდა, მოედნის ცენტრიდან აიწყვიტა და როდესაც ჰაბანა შებოჭვას უპირებდა, ისე შეასკდა მსოფლიოს საუკეთესო მორაგბეს, რომ ჯკანალზე დასვა, თვითონ კი აფრიკელთა ლელოში შევარდა.

რაგბის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის **IRB**-ის აწ გარდაცვლილი თავმჯდომარის ვერონ პიუს სახელობის პრიზი ესპანეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტსა და **IRB**-ის მოხელეს ხოსე მარია ეპალისას გადაეცა, საფრანგეთის ნაკრების 35 წლის მორკინალი ფაბიენ პელუ კი რაგბიდან ღირსების „ოსკარით" გააცილეს.

ერთიც, საგანგებო ნომინაციაში, რომელსაც „რაგბის სული" ჰქვია, გამორჩეულად მიიჩნიეს არგენტინელი ნიკოლას პუეტა, ვინც 14 წლისა იყო, მარჯვენა ფეხი მუხლამდე რომ მოაჭრეს, მაგრამ ამ უტეხმა ბიჭმა რაგბის თამაშს თავი არ მიანება და საუნივერსიტეტო რაგბის სალსალამათ ბიჭებთან ერთად დღემდე ცალი ფეხით თამაშობს.

**ბაჩო სვანიძე**

## სამხრეთ აფრიკას ყველაფერი, ახალ ზელანდიას არაფერი

მსოფლიოს თასის დამთავრების შემდეგ არაერთმა გაზეთმა და ვებ-გვერდმა ჩამოწერა ტურნირის სიმბოლური თხუთმეტეულის თავისეული ვერსია. ჩვენ მათგან გთავაზობთ აქამდე მრავალჯერ ნახსენები **www.planetrugby.com**-ის გუნდს. ამ ინტერნეტ-გამოცემის სიმბოლურ 15-ეულში 7 მსოფლიოს ჩემპიონი მოხვდა. ფინალისტ ინგლისს ორი გამორჩეული მოთამაშე ჰყავს, ამდენივე მოეძევება მესამეადგილოსან არგენტინას და სამიც ფრანგი გახლავთ. რჩეულებში მხოლოდ ერთი მოთამაშეა იმ უიღბლო ნაკრებთაგან, რომლებიც ნახევარფინალს მიღმა დარჩნენ. იგი ავსტრალიელია, ხოლო ახალზელანდიელ შერცხვენილ ლომებს **planetrugby**-სგან „ბოდიში, მაგრამ ვერა" ერგოთ

15. **პერსი მონტგომერი,** სამხრეთ აფრიკა:



მცველის პოზიციაზე არაერთი ღირსეული კანდიდატი გადაირჩა, ინგლისელი ჯეისონ რობინსონი ან თუნდაც არგენტინელი იგნასიო კორლეტო ნებისმიერ სიმბოლურ გუნდს დაამშვენებდნენ, მაგრამ ეს პოზიცია ჩემპიონთა და ჩემპიონატის საუკეთესო მექულეს პერსი მონტგომერის შეხვდა, რომელიც დაცვაშიც საიმედო გახლდათ და შეტევაშიც მრავლისმნახველი ვეტერანის გონიერებით ირჯებოდა.

14. **ვინსენტ კლერკი,** საფრანგეთი: 



ჩემპიონატის გახსნით მატჩში ბერნარ ლაპორტმა დაასვენა, მაგრამ შემდეგ იგი ეშხში შევიდა და ერთ რამედ ღირდა მისი გარღვევების ყურება. დაცვაშიც არაერთხელ შეაკავა სალელოვედ დაძრული მეტოქე. ორი ლელო გაუტანა ირლანდიას.

13. **სტირლინგ მორტლოკი,** ავსტრალია:



მის გუნდს ჩემპიონობა სურდა და მეოთხედფინალში კი გავარდა. და მაინც, ოზთა კაპიტანი, როგორც ყოველთვის, სიმაღლეზე იდგა. მისი გავლა შეუძლებელია, მისი დაჭერა — ძალზე ძნელი.

12. **ფელიპე კონტეპომი,** არგენტინა: 



ტყუპისცალი, თავისი ძმისგან განსხვავებით, ყველაფერში გამორჩეული იყო — გარღვევებშიც, კარში დარტყმებშიც, დაცვაშიც და ჩხუბშიც კი. კონტეპომიმ გვერდით მდგომ ხუან ერნანდესს კარში დარტყმის პასუხისმგებლობა აარიდა, რათა მას თავი მყუდროდ ეგრძნო და გუნდის დირიჟორის როლი ეთავა.

11. **ბრაიან ჰაბანა,** სამხრეთ აფრიკა: 



8 ლელო 7 თამაშში! ასეთი რამე ჯონა ლომუს შემდეგ არავის გაუკეთებია. 24 წლის ჰაბანამ დაამტკიცა, რომ თანამედროვე რაგბიში ლელოს გატანის მისებრი ალღო ბევრსაც არავის აქვს. მართალია, ფინალში ვერ გაქანდა, მაგრამ ვაპატიოთ.

10. **ჯონი უილკინსონი,** ინგლისი: 



მას გარშემო 2003 წლის დარი გუნდი არ იყო, მაგრამ ის ისევ ის უილკოა, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ოთხ წელიწადში ყველაფრის ტკენა მოასწრო. მთავარი კი ისაა, რომ თავად ინგლისია უილკინსონთან ერთად სულ სხვა გუნდი. ის რომ არა, ჩემპიონები ფინალამდე კარგა ხნით ადრე დაკარგავდნენ ტიტულის დაცვის შანსს.

9. **ფური დიუ პრე,** სამხრეთ აფრიკა: 



როდესაც ჯეკ ვაიტმა „ქურციკები" ჩაიბარა, დიუ პრე არაფრით გამორჩეული მოთამაშე გახლდათ, მაგრამ მან ძალზე ბევრი იმუშავა საკუთარ თავზე და დონე იმდენად გააუმჯობესა, რომ მრავალმხრივ ნიჭიერი გუნდის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ იქცა. მსოფლიოს თასზე ის პრაქტიკულად შეუცდომელი იყო.

8. **გონსალო ლონგო,** არგენტინა: 



არგენტინას ერთი კი არა, ორი კარგი 8 ნომერი ჰყავს, ხუან-მანუელ ლეგუიზამონი და ლონგო. ეს უკანასკნელი იქნებ პირველზე ნიჭიერი არ იყოს, მაგრამ ლონგო ტურნირის ერთ-ერთი ყველაზე ჯიგრიანი მოთამაშე იყო.

7. **ტიერი დუზატუა,** საფრანგეთი: 



„მამლებს" რიგიანი მესამეხაზელი ფორვარდების მთელი არმია ჰყავდათ და დუზატუას არც ისე ხშირად უწევდა თამაში, მაგრამ ახალ ზელანდიასთან ის ძალზე შთამბეჭდავი გახლდათ და ინგლისთან მარცხშიც არ უდევს წილი.

6. **იუან სმიტი,** სამხრეთ აფრიკა: 



7 თამაშში 4 ლელო ძალზე ბევრია ფორვარდისთვის. რიგ ეპიზოდებში სმიტი თავის მრისხანე თანაგუნდელ სხალკ ბურხერზე მეტადაც კაშკაშებდა. ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იყო.

5. **ვიქტორ მეტფილდი,** სამხრეთ აფრიკა:



ჩემპიონებს ბადალი არ ჰყავდათ აუტებში და ეს დიდწილად ამ ვეტერანის დამსახურებაა. მეტფილდმა ფინალში ინგლისელებს სამი აუტი ააცალა.

4. **საიმონ შოუ,** ინგლისი: 



სერ კლაივ ვუდვორდი დიდად შეცდა, როდესაც 2003 წლის ჩემპიონატზე ეს ახმახი ფორვარდი არ ათამაშა. შოუ ბოლო წლების განმავლობაში გამუდმებით ამტკიცებდა თავის მაღალ კლასს და ეს ყველაზე უკეთ მსოფლიოს თასზე შეძლო.

3. **პიტერ დე ვილიე,** საფრანგეთი: 



საფრანგეთი შერკინებით, აბა, როგორ დაიტრაბახებს, მაგრამ დე ვილიეს ნამდვილად გამოეყოფა თავი დუნიაზე. მას მუხლი არ მოკვეთია მსოფლიოს უძლიერეს ბურჯებთან, ახალზელანდიელ კარლ ჰეიმანთან და ინგლისელ ენდრიუ შერიდანთან ჯახში.

2. **ჯონ სმიტი (კაპიტანი),** სამხრეთ აფრიკა:



კი ბატონო, ის არაა მოქნილი და სხმარტალა, მაგრამ ქვასავით მაგარი და საიმედოა. ყველაფერი იქით იყოს, ჯონ სმიტი სულით ლიდერია და აგრძელებს ტრადიციას, რომ მსოფლიოს ჩემპიონებს ქარიზმატული კაპიტნები უნდა ჰყავდეთ. 1999 წელს ავსტრალიას ჰყავდა ჯონ ილზი, 2003 წელს ინგლისს — მარტინ ჯონსონი, სამხრეთ აფრიკას კი აი, ეს კაცი ჰყავს და ჩვენი სიმბოლური გუნდის კაპიტანიც ისაა.

1. **ოზ დუ რანი,** სამხრეთ აფრიკა: 



შეგვეძლო, ინგლისელი შერიდანი დაგვესახელებინა, მაგრამ მაინც ბებერი „ქურციკი" შევარჩიეთ თავმოუკრავ ბურჯებში. 35 წლის ხარივით ფერმერმა პირველი ტიტული 1995 წელს მოიგო და ახლაც ჩემპიონთა ერთ-ერთი ლიდერი და სიმბოლო გახლდათ. ახლა შეუძლია, დამშვიდებული წავიდეს თავის მამულში.

# მონტგომერიმ დაიწყო და დაამთავრა
## ჯადო ჯონიმ დროს გაასწრო



მსოფლიოს თასის ფინალში სამხრეთ აფრიკამ ინგლისი რომ მიანგრია და „ვებ ელისის" სახელობის თასი აართვა, რაგბის საერთაშორისო საბჭომ (IRB) თავისი მსოფლიო რეიტინგი განაახლა და 95-გუნდა ამქარს თავზე სამხრეთ აფრიკა წამოასკუპა. ასე დასრულდა ახალი ზელანდიის სამწლიანი სეფეგუნდობა, თუმც „ოლ ბლექსი" ძალიან მცირე სხვაობით ჩამორჩება ახალ მსოფლიოს ჩემპიონს და თუ მომავალ სამ ერზე „ქურციკებს" წირვას გამოუყვანს, რეიტინგის უსტაბაშობას კვლავ დაიბრუნებს.

თასის ფინალისტი ინგლისი ერთი საფეხურით დაქვეითდა, მისი ადგილი კი არგენტინამ დაიკავა, რომელიც ნახევარფინალში წაგებით მეექვსე ადგილზე ჩამოქვეითდა, მაგრამ ბრინჯაოსთვის ომში საფრანგეთი რომ მიანგრია, მსოფლიოს თასზეც და რეიტინგშიც მესამე ადგილი დაიკავა. თასის მასპინძელი და მთავარი იმედგაცრუება საფრანგეთი კი მეექვსე საფეხურამდე ჩამოვარდა, ავსტრალია კვლავ მყარად ზის თავის მე-5 ადგილზე, ისევე როგორც ირლანდია, შოტლანდია, ფიჯი და უელსი.

ქვემო ათეულში ცვლილებები არ მომხდარა. საქართველოს ნაკრები თავის ისტორიაში საუკეთესო მე-16 საფეხურს ინარჩუნებს. მისი საერთათასო მეტოქეებიც — რუმინეთი, პორტუგალია, რუსეთი და ჩეხეთი ისევ იქ არიან, სადაც იყვნენ.

ახლა კი მსოფლიოს თასის მრიცხველს ჩავხედოთ. მრიცხველით კი წლევანდელი ტურნირის მთავარმექულე სამხრეთაფრიკელი ზემოიერიშე პერსი მონტგომერი გახდა, ვინც პირველივე დღიდან ლიდერობდა მექულეთა ამქარს. საუკეთესო მელელოვეც სამხრეთაფრიკელი ბრაიან ჰაბანა გახდა, ვისაც მინიმუმ ოთხი წელი მოუწევს ცდა, რომ ლეგენდარული ახალზელანდიელის ჯონი ლომუს რეკორდი მოხსნას. ლომუს ორ მსოფლიოს თასზე 15 ლელო აქვს გატანილი. მას რომ გაუსწროს, ბრაიან ჰაბანამ მომავალ მსოფლიოს თასზე უნდა ითამაშოს და წლევანდელი შედეგი გაიმეოროს, რაც 23 წლის მელელოვისთვის სავსებით რეალურია.

ერთიც, მსოფლიოს ჩემპიონი ზედიზედ მეორედ ვერა, მაგრამ მსოფლიოს თასის ყველა დროს მექულე კი ჯონი უილკინსონი გახდა. ჯადო ჯონიმ ეს ჯერ კიდევ მეოთხედფინალში გაახერხა და ძნელად, მის რეკორდს კარგა ხანს ვინმე შეეხოს.

**ბაჩო სვანიძე**


პერსი მონტგომერი

### IRB-ის რეიტინგი 2007 22 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| 1 (2) ს. აფრიკა | 90,89 |
| 2 (1) ახ. ზელანდია | 89,63 |
| 3 (6) არგენტინა | 87,56 |
| 4 (3) ინგლისი | 85,61 |
| 5 (5) ავსტრალია | 84,21 |
| 6 (4) საფრანგეთი | 80,43 |
| 7 (7) ირლანდია | 78,66 |
| 8 (8) შოტლანდია | 76,83 |
| 9 (9) ფიჯი | 75,82 |
| 10 (10) უელსი | 74,08 |
| 11 (11) იტალია | 73,51 |
| 12 (12) სამოა | 71,58 |
| 13 (13) ტონგა | 71,50 |
| 14 (14) რუმინეთი | 67,61 |
| 15 (15) კანადა | 66,95 |
| 16 (16) საქართველო | 66,61 |
| 17 (17) იაპონია | 65,33 |
| 18 (18) რუსეთი | 64,37 |
| 19 (19) აშშ | 64,34 |
| 20 (20) ურუგვაი | 62,66 |
| 21 (21) ესპანეთი | 62,32 |
| 22 (22) პორტუგალია | 60,92 |
| 34 (34) ჩეხეთი | 51,97 |

### გუნდური სტატისტიკა

| | თ | ლ | გ | ს | ა | ყ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ახ. ზელანდია | 5 | 48 | 36 | 5 | 0 | 2 | 0 | 327 |
| ს. აფრიკა | 7 | 33 | 25 | 21 | 0 | 3 | 0 | 278 |
| საფრანგეთი | 7 | 27 | 19 | 18 | 0 | 2 | 0 | 227 |
| ავსტრალია | 5 | 31 | 20 | 8 | 2 | 2 | 0 | 225 |
| არგენტინა | 7 | 23 | 14 | 18 | 4 | 3 | 0 | 209 |
| უელსი | 4 | 23 | 16 | 7 | 0 | 0 | 0 | 168 |
| ინგლისი | 7 | 12 | 7 | 17 | 5 | 1 | 0 | 140 |
| ფიჯი | 5 | 16 | 12 | 10 | 0 | 3 | 0 | 134 |
| შოტლანდია | 5 | 15 | 15 | 8 | 0 | 1 | 0 | 129 |
| ტონგა | 4 | 9 | 7 | 10 | 0 | 3 | 1 | 89 |
| იტალია | 4 | 8 | 6 | 11 | 0 | 3 | 0 | 85 |
| სამოა | 4 | 5 | 4 | 12 | 0 | 1 | 0 | 69 |
| ირლანდია | 4 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 0 | 64 |
| იაპონია | 4 | 7 | 4 | 7 | 0 | 0 | 0 | 64 |
| აშშ | 4 | 7 | 4 | 6 | 0 | 4 | 0 | 61 |
| კანადა | 4 | 6 | 3 | 5 | 0 | 1 | 0 | 51 |
| საქართველო | 4 | 5 | 5 | 5 | 0 | 2 | 0 | 50 |
| რუმინეთი | 4 | 5 | 3 | 3 | 0 | 1 | 0 | 40 |
| პორტუგალია | 4 | 4 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 38 |
| ნამიბია | 4 | 3 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 30 |

თ — თამაში, ლ — ლელო, გ — გარდასახვა, ს — საჯარიმო, ა — არეკნი, ყ — ყვითელი, წ — წითელი, ქ - ქულა

### გუნდური ლელოები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ახ. ზელანდია | 5 | 48 | ირლანდია | 4 | 9 |
| ს. აფრიკა | 7 | 33 | იტალია | 4 | 8 |
| ავსტრალია | 5 | 31 | იაპონია | 4 | 7 |
| საფრანგეთი | 7 | 27 | აშშ | 4 | 7 |
| უელსი | 4 | 23 | კანადა | 4 | 6 |
| არგენტინა | 7 | 23 | საქართველო | 4 | 5 |
| ფიჯი | 5 | 16 | სამოა | 4 | 5 |
| შოტლანდია | 5 | 15 | რუმინეთი | 4 | 5 |
| ინგლისი | 7 | 12 | პორტუგალია | 4 | 4 |
| ტონგა | 4 | 9 | ნამიბია | 4 | 3 |

### მექულეები

| | თ | ლ | გ | ს | ა | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| პერსი მონტგომერი (ს. აფრიკა) | 7 | 2 | 22 | 17 | 0 | 105 |
| ფელიპე კონტეპონი (არგენტინა) | 7 | 3 | 11 | 18 | 0 | 91 |
| ჯონი უილკინსონი (ინგლისი) | 5 | 0 | 5 | 14 | 5 | 67 |
| ნიკ ევანსი (ახ. ზელანდია) | 4 | 2 | 20 | 0 | 0 | 50 |
| ჟან-ბატის ელისალდე (საფრანგეთი) | 7 | 1 | 12 | 6 | 0 | 47 |
| კრის პატერსონი (შოტლანდია) | 5 | 1 | 10 | 7 | 0 | 46 |
| პიერ ჰოლა (ტონგა) | 4 | 0 | 7 | 10 | 0 | 44 |
| ლიონელ ბოგზი (საფრანგეთი) | 6 | 1 | 7 | 8 | 0 | 43 |
| ნიკი ლიტლი (ფიჯი) | 3 | 0 | 9 | 8 | 0 | 42 |
| მეტ ჟიტუ (ავსტრალია) | 4 | 3 | 8 | 3 | 0 | 40 |
| დენ კარტერი (ახ. ზელანდია) | 3 | 1 | 10 | 5 | 0 | 40 |
| ბრაიან ჰაბანა (ს. აფრიკა) | 7 | 8 | 0 | 0 | 0 | 40 |
| მერაბ კვირიკაშვილი (საქართველო) | 4 | 0 | 4 | 5 | 0 | 23 |

თ — თამაში, ლ — ლელო, გ — გარდასახვა, ს — საჯარიმო, ა — არეკნი ქ - ქულა

### მსოფლიოს თასის ყველა დროის მექულეები

| | თ | ლ | გ | ს | ა | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯონი უილკინსონი (ინგლისი) | 14 | 1 | 23 | 51 | 13 | 243 |
| გევინ ჰასტინგსი (შოტლანდია) | 13 | 9 | 39 | 36 | 0 | 227 |
| მაიკლ ლინა (ავსტრალია) | 15 | 4 | 36 | 33 | 2 | 195 |
| გრანტ ფოქსი (ახ. ზელანდია) | 10 | 0 | 37 | 31 | 1 | 170 |
| ენდრიუ მერთენსი (ახ. ზელანდია) | 10 | 1 | 25 | 33 | 3 | 163 |
| გონსალო კესადა (არგენტინა) | 8 | 0 | 12 | 35 | 2 | 135 |
| მეტ ბერკი (ავსტრალია) | 13 | 6 | 19 | 19 | 0 | 125 |
| ნიკი ლიტლი (ფიჯი) | 11 | 0 | 22 | 26 | 1 | 125 |
| ტიერი ლაკრუა (საფრანგეთი) | 9 | 4 | 7 | 30 | 0 | 124 |
| გარეს რიისი (კანადა) | 13 | 0 | 15 | 25 | 5 | 120 |

თ — თამაში, ლ — ლელო, გ — გარდასახვა,
ს — საჯარიმო, ა — არეკნი ქ - ქულა

### პირადი რეკორდები

ნიკ ევანსი (ახ. ზელანდია) — 33 ქულა
ახ. ზელანდია 108:13 პორტუგალია
პერსი მონტგომერი (ს. აფრიკა) — 29
ს. აფრიკა 59:7 სამოა
ჟან-ბატის ელისალდე (საფრანგეთი) — 27
საფრანგეთი 87:10 ნამიბია
მეტ ჟიტუ (ავსტრალია) — 27
ავსტრალია 55:12 ფიჯი
ჯონი უილკინსონი (ინგლისი) — 24
ინგლისი 44:22 სამოა
ლიონელ ბოგზი (საფრანგეთი) — 24

საფრანგეთი 64:7 საქართველო
ბრაიან ჰაბანა (ს. აფრიკა) — 20
ს. აფრიკა 59:7 სამოა
სტირლინგ მორტლოკი (ავსტრალია) — 20
ავსტრალია 91:3 იაპონია
ფელიპე კონტეპომი (არგენტინა) —19
არგენტინა 63:3 ნამიბია
ფელიპე კონტეპომი (არგენტინა) —19
არგენტინა 34:10 საფრანგეთი
ნიკი ლიტლი (ფიჯი) —18
ფიჯი 38:34 უელსი

### მელელოვეები

| | |
|---|---|
| ბრაიან ჰაბანა (ს. აფრიკა) | 8 |
| დრიუ მიჩელი (ავსტრალია) | 7 |
| შეინ უილიამსი (უელსი) | 6 |
| დაგ ჰაულეტი (ახ. ზელანდია) | 6 |
| კრის ლატამი (ავსტრალია) | 5 |

### მსოფლიოს თასის ყველა დროის მელელოვეები

| | |
|---|---|
| ჯონა ლომუ (ახ. ზელანდია) | 15 |
| დაგ ჰაულეტი (ახ. ზელანდია) | 13 |
| კრის ლატამი (ავსტრალია) | 11 |
| ჯო როკოსოკო (ახ. ზელანდია) | 11 |
| რორი ანდერვუდი (ინგლისი) | 11 |

# ცოტაც და ნაკრები ბოლომდე შეივსება

## სათუო მხოლოდ ტიტეს თამაშია



ბადრი კეთილაძის ფოტო

**საქართველოს** ხელბურთელთა ნაკრები „ჩელენჯტროფის" ტურნირისთვის მზადებას განაგრძობს და ნელ-ნელა ლეგიონერებით ივსება. ნაკრებს საბერძნეთის მე-2 ლიგაში მოთამაშე გარი თურქია და გიორგი კვერნაძე დაემატნენ. მათ ინტერვიუებს ამავე ნომერში იხილავთ და ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. უბრალოდ შეგახსენებთ, რომ კვერნაძე ნაკრების დებიუტანტია.

მთავარი მწვრთნელის მამუკა მჟავანაძის თქმით, გუნდი ნორმალურად ემზადება და საბედნიეროდ, არც სერიოზული ტრავმა აწუხებს ვინმეს. მხოლოდ ტიტე კალანდაძის მდგომარეობაა გაურკვეველი. ჯერაც ძნელია იმის თქმა, შეძლებს თუ არა ტიტე თამაშს. რაც შეეხება ვარჯიშს, აშკარად იგრძნობა, რომ დატვირთვები გაზრდილია და ხელბურთელებს უფრო მრავალფეროვანი კომბინაციების დამუშავება უწევთ. ნაკრები ევროპიდან კიდევ 2 კაცს ელოდება (ვლადიმერ რუსია, სერგო დათუკიშვილი) გუშინ კი თბილისში რევაზ ჭანტურია (მაკედონია, „მეტალურგი") რატი მსხვილიძე (ისლანდია, „სტიარნანი") და ანდრო ანდრიაშვილი (ესპანეთი, „რანგა სორია") ჩამოვიდნენ.

**ლევან მაისურაძე**

# თურქიამ საბერძნეთში მწვრთნელობა თქვა

**გარი თურქია** ერთ-ერთია იმ გამოცდილი ხელბურთელებიდან, ვინც წლების მანძილზე ნაკრების წამყვან მოთამაშედ ითვლებოდა. თურქია ამჟამად საბერძნეთის მე-2 ლიგის „პოსეიდონში" თამაშობს და თან ამ გუნდის მეორე მწვრთნელიცაა. ახლაც, ნაკრების ვარჯიშებში საკმაოდ აქტიურად არის ჩართული და მწვრთნელთა შტაბს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს. სამწუხაროდ, მისი, როგორც მოთამაშის დახმარება ვერ მოხერხდება. შარშან საბერძნეთის სახელით იტალიაში ბოლონიის ტურნირზე მიიღო მონაწილეობა და ამის გამო საერთაშორისო ფედერაცია ჩვენი სახელით გამოსვლის უფლებას არ აძლევს...



ბადრი კეთილაძის ფოტო

— იანვარში ნაკრებს, იმიტომ ვერ დავეხმარე, რომ საბერძნეთის ფედერაციამ პრობლემები შემიქმნა, თორემ მე გულით მეწადა აქ ჩამოსვლა. ახლაც სიამოვნებით ვეხმარები მწვრთნელებს.

რასაც ვხედავ, ძალიან პერსპექტიული ბიჭები მოდიან, მათი ნამდვილად მეიმედება. აუცილებელია, რომ საკუთარ თავზე ბევრი იმუშაონ. მჯერა, ასეც მოხდება და ვარჯიშს არ დაიზარებენ. კარგი ბიჭია კვერნაძეც, რომელიც საბერძნეთში თამაშობს და კარგად ვიცნობ.

**— კლუბზე რას გვეტყვით, იქ როგორ მიდის საქმეები?**

— გუნდში კარგი სიტუაციაა. იქ მისვლამდე პირველ ლიგაში ვთამაშობდი, მაგრამ გადავწყვიტე, კარიერა მეორე ლიგაში გამეგრძელებინა, რადგან უკვე 35 წლის ვარ და მომავალზეც უნდა ვიფიქრო. თან ამ გუნდში მწვრთნელობის შეთავსებაც მიწევს. ძალიან ვარ დაინტერესებული ამ მხრივ საქმიანობის გაგრძელებით.

**ლევან მაისურაძე**

# გიორგი კვერნაძე ვარჯიშითაც კმაყოფილია



ბადრი კეთილაძის ფოტო

**საბერძნეთის** მე-2 ლიგის „აკადემიაში" მოთამაშე გიორგი კვერნაძე ნაკრების დებიუტანტია. მას აქამდე მხოლოდ ახალგაზრდული გუნდის სახელით დაუცავს ქვეყნის ღირსება. საბერძნეთში გადასვლაში დახმარება გარი თურქიამ გაუწია. გიორგის ვარჯიშის შემდეგ გავესაუბრეთ და კლუბის გარდა, ნაკრების ამბებზეც ვკითხეთ.

— ეს გუნდი ქალაქ პატრას წარმოადგენს, მანამდე კი „აგრინოში" ვთამაშობდი. იქ თავს საკმაოდ კარგად ვგრძნობ, მშვენიერი ურთიერთობა მაქვს მწვრთნელებთანაც. ისინი ამ ზაფხულს თბილისშიც ჩამოვიყვანე. რაც მთავარია, თამაში მუდმივად მიწევს, ხელი მხოლოდ მაშინ მეშლება თუ ტრავმა ან დისკვალიფიკაცია მაქვს. ახლა ცხრილში მე-3 ადგილი გვიკავია. საერთოდ, უმაღლეს ლიგაში გადასვლაზე ვფიქრობთ, მაგრამ წლეულს რამდენად მოხერხდება, არ ვიცი. სხვა მხრივ, გუნდში იდეალური სიტუაციაა.

**— ახლა როგორ ფორმაში ხართ, შეძლებთ 14 კაცში მოხვედრას?**

— ნორმალურ ფორმაში ვარ, თანდათან უფრო ვუმატებ. ახლა ძნელია იმის პროგნოზირება, მოვხვდები თუ არა ძირითად გუნდში. ჯერ ყველა ლეგიონერი არც ჩამოსულა. თუმცა ჩემთვის აქ ყოფნაც ძალიან ბევრს ნიშნავს, რაც უნდა იყოს, გამოცდილებას მივიღებ. კალანდაძის, თურქიას, რუსიას გვერდით ვარჯიში ბევრს შემძენს.

**ლევან მაისურაძე**



## რეგულარული ჩემპიონატი

21 ოქტომბერი

**კოლუმბუსი 1:4 ვანკუვერი**

0:2 1:0 0:2

0:1 კესლერი (6), 0:2 ბიკსა (14), 1:2 ნეში (23), 1:3 ნესლუნდი (49), 1:4 კესლერი (59)

**მინესოტა 3:2 კოლორადო**

0:0 2:2 1:0

1:0 პერიში (26), 2:0 როლსტონი (28), 2:1 არნასონი (32), 2:2 ბრიუნე (34), 3:2 კოივუ (57)

# ველური ჰოკეი

**ორ კვირაზე** ოდნავ მეტია, რაც ახალი სეზონი დაიწყო და გარკვეული დასკვნების გაკეთება უკვე შეიძლება. სტარტზე მოულოდნელობებიც საკმარისი იყო და ერთი-ორი იმედგაცრუებაც ვიხილეთ.

ჯერ გუნდური ამბებით დავიწყოთ და მოულოდნელობაზე თუ მიდგა საუბარი, ამ მხრივ აუცილებლად უნდა გამოვყოთ „მინესოტა", რომელსაც თავის ისტორიაში საუკეთესო სტარტი აქვს. ეს გუნდი ერთადერთია, ძირითად დროში რომ არ დამარცხებულა. მან მხოლოდ „ლოს ანჯელესს" დაუთმო ორი ქულა, თუმცა ერთი თვითონაც აიღო, რადგანაც ბულიტების სერიაში წააგო. „ველურებმა" გუშინაც იყოჩაღა, როცა შინ „კოლორადო" გააკრა ბეჭებზე — გამარჯვებისა „მონრეალის" კაპიტან საკუ კოივუს უმცროსმა ძმამ, მიკომ შეაგდო.

კარგი სტარტი აქვს ბუქმეიკერთა და სპეციალისტთა მიერ ჩემპიონატისა და სტენლის თასის მოგების მთავარ პრეტენდენტად მიჩნეულ „ოტავას". თან კანადური გუნდი ამას სათადარიგო მეკარე მარტინ გერბერით აკეთებს, თუმცა „სენატორებს" ძირითადი კიპერი რეი ემერიც დაუბრუნდათ და უახლოეს მომავალში მათი საქმეები უკეთ თუ არა, ამაზე ნაკლებ არ უნდა წარიმართოს. აღვნიშნოთ „ფილადელფიაც" — გასული სეზონის უიმედო აუტსაიდერი მშვენივრად გამოიყურება, ბრწყინვალეა შეტევაში და მეტად სოლიდური დაცვაში.

მთავარი იმედგაცრუება კი უდავოდ „ნიუ იორკ რეინჯერსი" გახლავთ. ზაფხულში მიღებული უსერიოზულესი შევსების შემდეგ, რაც სკოტ გომესისა და კრის დრურის დამატებაში, მანჰეტენური გუნდისგან შემტევ და მძლავრ თამაშს ელოდნენ. თუმც გუნდი ჯერჯერობით ძალიან მძიმედ გამოიყურება, შეტევაში კი მაგრად წვალობს და გოლების გატანა ძალიან უჭირს. არავინ მოელოდა „ატლანტას" მიერ სეზონის ასე ამაზრზენად დაწყებასაც — ჯორჯიელებმა პირველი ექვსი შეხვედრა წააგეს, რასაც მათი მთავარი მწვრთნელი ბობ ჰარტლი შეეწირა.

**კახა ლომჯარიძე**

**ბომბარდირები:** ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტროიტი) 17(7+10); მატს სუნდინი (ტორონტო) 14(5+9); პოლ შჩასტნი (კოლორადო) 14(5+9); ჯერომ იგინლა (კალგარი) 13(5+8); დანიელ ალფრედსონი (ოტავა) 13(6+7); ანზე კოპიტარი (ლოს ანჯელესი) 12(4+8); ჯეისონ სპეცა (ოტავა) 12(1+11); ჯასტინ უილიამსი (კაროლინა) 11(3+8); ნიკ ანტროპოვი (ტორონტო) 11(6+5); დენი ჰიტლი (ოტავა) 11(7+4); დეიმონდ ლენგკოუ (კალგარი) 11(7+4); დანიელ ბრიარი (ფილადელფია) 11(4+7)



## მსოფლიოს ჩემპიონატი. XVII ეტაპი

### მალაიზიის დიდი პრიზი. სეპანგი — 5,548 კმ

**მოტო გრან პრი — 116,5 კმ**

1 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, დუკატი მალბორო) - 43 წთ; 04,4
2 მარკო მელანდრი (იტალია, ჰონდა გრესინი) — ჩამორჩა 1,7
3 დანიელ პედროსა (ესპანეთი, რეპსოლ ჰონდა) — 2,3

**საერთო ჩათვლა**

1 სტოუნერი 347 ქულა; 2 ვალენტინო როსი (იტალია, ფიატ იამაჰა) 241; 3 პედროსა 217; 4 მელანდრი 174; 5 ჯონ ჰოპკინსი (აშშ, რიზლა სუძუკი) 173

**250 სმ³ — 111,0 კმ**

1 ჰიროსი აოიამა (იაპონია, რედ ბულ KTM) — 43 წთ; 09,3
2 ექტორ ბარბერა (ესპანეთი, ტოტი აპრილია) — ჩამორჩა 2,2
3 ხორხე ლორენცო (ესპანეთი, ფორტუნა აპრილია) — 3,0

**საერთო ჩათვლა**

1 ლორენცო 303 ქულა; 2 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, კოპრონ ჰონდა) 247; 3 ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, მასტერ აპრილია) 181; 5 ბარბერა 166

**125 სმ³ — 105,4 კმ**

1 გაბორ ტალმაში (უნგრეთი, ბანკახა აპრილია) — 42წთ; 50,8
2 ტომოიოსი კოიამა (იაპონია, რედ ბულ KTM) — ჩამორჩა 6,8
3 ექტორ ფაუბელი (ესპანეთი, ბანკახა აპრილია) — 7,8

**საერთო ჩათვლა**

1 ტალმაში 262 ქულა; 2 ფაუბელი 252; 3 კოიამა 186; 4 ლუკაშ პეშეკი (ჩეხეთი, ზეედორფ დერბი) 171; 5 სიმონე კორსი (იტალია, სკაილდ აპრილია) 164

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუკრი ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლალო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge